ვერსია

№14 (1604) 13 — 19 აპრილი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

18 წლის წინ, გორში გაუჩინარებული ბავშვის მკვლელობის დღემდე უცნობი დეტალები

ვინ არის იაგო ნებიერიძე – კრიმინალის დოსიე

დავა კოლხური კოშკისთვის

რატომ არ უშვებს დედა ცოტნე გამსახურდიას მშობლიურ სახლში და რა ეტაპზეა სასამართლო დავა – ინტერვიუ ანა ჯაბაურთან

„პუტინმა ჰიტლერის რეალობაში დაგვაბრუნა!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

როდის დაიწყება ფასების კლება და ინფლაციის დონის შემცირება – ეკონომიკის ექსპერტების დამაიმედებელი პროგნოზი

გიორგი აბაშიშვილი: „რუსეთის უკრაინაში შეჭრით მსოფლიო ეკონომიკაში სრულებით ახალ არქიტექტურას მივიღებთ!“

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია რვა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და კახეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია რვა პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „მაკაროვის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი, მჭიდი და სხვადასხვა კალიბრის 45 საბრძოლო ვაზნა. ასევე, დაკავებულია 1985 წელს დაბადებული მ.თ., რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღებულია „ნაგანის“ სისტემის არარეგისტრირებული რევოლვერი და 13 საბრძოლო ვაზნა. ორივე მათგანს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ედება ბრალი.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.რ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღო პისტოლეტი, მჭიდი და 15 საბრძოლო ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული ზ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მესტიაში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 54 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს დააკავეს 1973 წელს დაბადებული თ.ნ. და 1963 წელს დაბადებული ჯ.თ. პოლიციამ, ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 78 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, 1972 წელს დაბადებული ი.კ. დააკავეს. პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, კალაშნიკოვის სისტემის, „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 56 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. ი.კ.-ს ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1984 წელს დაბადებული ბ.მ., ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ქალაქ გორში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 146 ვაზნა.

დანაშაული 3-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს უმასპინძლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, სულეიმან სოილუ, მაღალი დონის დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ეწვია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური თურქ კოლეგას აეროპორტში დახვდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე ესწრებოდა.

ოფიციალური შეხვედრის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. სულეიმან სოილუმ ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ დაუდასტურა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, რისთვისაც ვახტანგ გომელაურმა თურქ კოლეგას მადლობა გადაუხადა.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პრეზიდენტს, თურქეთს, ჩვენი გვერდით დგომისთვის, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის.

მოგეხსენებათ, გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენს მჭიდრო თანამშრომლობას. მზად ვართ, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საზღვრის დაცვა, ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

კარგად გვახსოვს თურქი ხალხის გვერდში დგომა ყოველთვის და ამისთვის, მინდა, დიდი პატივისცემით, კიდევ ერთხელ, გულწრფელად გითხრათ მადლობა“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

თავის მხრივ, სულეიმან სოილუმ მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მასპინძლობისთვის.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ მინისტრს გულთბილი მასპინძლობისთვის. ძალიან ნაყოფიერი პირისპირ შეხვედრა გვქონდა.

ჩვენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა პლატფორმაზე ვიცავდით, ვიცავთ და მომავალშიც დავიცავთ. ეს ეხება, ასევე, უკრაინასაც. ასეთ რთულ ვითარებაში, ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ლიდერობით, ვცდილობთ, შევასრულოთ შუამავლის როლი, რათა რეგიონში და ზოგადად, ამ კონფლიქტში შევასრულოთ დადებითი როლი, რომ რაღაცნაირად დავასრულოთ იგი.

ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მსგავს პოზიციას იკავებს საქართველოს ხელისუფლება და თქვენი ქვეყანა ამ კონფლიქტთან დაკავშირებით“, – აღნიშნა სულეიმან სოილუმ.

მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის ეფექტიან თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მხარეებმა ხაზი გაუსვეს პოლიციის ატაშეების წვლილს ორი სახელმწიფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში. თურქულმა მხარემ სამომავლო სამუშაო ვიზიტებისა და ერთობლივი წვრთნების ჩატარების მზაობა გამოთქვა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: საზღვრის დაცვა, ორგანიზებულ დანაშაულთან და კიბერდანაშაულთან ბრძოლა.

ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების სფეროში ერთობლივი კომისიის საქმიანობის მნიშვნელობაზე, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება და ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობასთან, ტერორიზმსა და სხვა მნიშვნელოვან დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კომისიის მორიგი სხდომის ჩატარება უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება.

შეხვედრის დასასრულს, თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართული მხარე საპასუხო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში მიიპატიჟა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დავა კოლხური კოშკისთვის



რატომ არ უშვებს დედა ცოტნე გამსახურდიას მშობლიურ სახლში და რა ეტაპზეა სასამართლო დავა – ინტერვიუ ანა ჯაბაურთან

„არ მიყვარს პირადი სახის ინფორმაციის, ან ყოფილი თუ მოქმედი ოჯახის წევრების ამბების გასაჯაროება და მათზე საუბარი (მერე, ხელმოცარულების მიერ, ამ ამბების ათასგვარი ინტერპრეტაცია). არ არის ეს სწორი და ჩემი აზრით, არც ახლაა მაგის დრო, როდესაც რუსეთმა მსოფლიო ასეთი გამოწვევის წინაშე დააყენა.

უბრალოდ, საქმე ეხება შემდეგს: მე, როგორც მამაჩემისა და ბაბუაჩემის მემკვიდრეს, განზრახული მაქვს, კოლხური კოშკი, მის ისტორიულ საზღვრებში, გადავცე სახელმწიფოს, მისი შემდგომი დანიშნულების განსაზღვრის მიზნით. მხედველობაში მაქვს, მუზეუმის მოწყობა და მისი კულტურული დატვირთვა.

მავანნი ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებიან და ათასგვარი გზით ცდილობენ ამ ყველაფრის არდაშვებას. ლაფს ასხამენ სახელმწიფოს, გაუგონარ საქციელს სჩადიან და ჩემი აზრით, ეს ხალხი უფრო ზიანს განიცდიან, ვიდრე მათი ადრესატები.

ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია, ქართული სახელმწიფო მიიღებს კოლხურ კოშკს განკარგვაში და დარწმუნებული ვარ, გამოიყენებს დანიშნულებისამებრ, ხოლო კოშკის გარშემო, სხვა ტერიტორია მოხმარდება ცოტნეს რეაბილიტაციის პროცესს“, – დაწერა ცოტა ხნის წინ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილმა, გიორგი გამსახურდიამ „ტვიტერში“.

ძმის ამ იდეას ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია სოციალურ ქსელშივე გამოეხმაურა. ამასთან, კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა ცოტნე გამსახურდიას მკურნალი ექიმის წერილი გერმანიიდან, რომელიც აცხადებს, რომ ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მისი მშობლიურ გარემოში ყოფნა:

„ეს წერილი ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც ცოტნე გამსახურდიას სიცოცხლე აჩუქა. ორი უნივერსიტეტის პროფესორმა, საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიური დეპარტამენტის უფროსმა, გერმანიაში ცნობილმა ნევროლოგმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ცოტნესთვის არ ითაკილა ექთნის, სანიტრისა და ექიმის ფუნქციის ერთდროულად შესრულება, ხოლო შემდეგ, სირბილით, მისი საწოლის რეანიმაციაში საკუთარი ხელით შეგორება. იქაც თავზე ადგა. არ იყო მისთვის შაბათი და კვირა, დღე და ღამე – მუდმივად იდგა ცოტნეს სიცოცხლის სადარაჯოზე, სანამ სამშვიდობოს არ გაიყვანა იგი. 9 თვე გავიდა მას შემდეგ. დღესაც მისი მეთვალყურეობისა და მკურნალობის ქვეშაა ცოტნე, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე. დიახ, პროფესორი ქრისტოფერ კელინგჰაუზი ის კაცია, ვინც ცოტნე დაღუპვისგან იხსნა.

სწორედ მისი კატეგორიული რჩევისა და რეკომენდაციის გამო, გასული წლის ივნისში მოხდა ცოტნეს დაბრუნება თბილისში. „იცოდეთ, რომ რეაბილიტაციის პროცესს, მინიმუმ, 50 პროცენტით აფერხებთ მისი წლობით საავადმყოფოებში ყოფნითა და საკუთარი სახლისა და გარემოსგან ამდენი ხნით მოცილებით“, იყო მისი მოთხოვნა – ცოტნესთვის პოზიტიური, მშვიდი, მისთვის საყვარელი და ახლობელი გარემოა ახლა საჭირო, რომელშიც დადებითი მუხტის მიღების გარდა, მოხდება ემოციური და მხედველობითი მეხსიერების გააქტიურება, მოგონებების გამოწვევა, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ნეირონებს შორის კავშირის დამყარებას, აღდგენასა და მათ გააქტიურებას! ასეთი ადგილი კი მხოლოდ მისი სახლია, სადაც მან ბავშვობა და სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა.

სამწუხაროდ, უდიდესი ექიმისა და ადამიანის ეს რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია: ცოტნეს არ ეძლევა საშუალება საკუთარ სახლში დაბრუნებისა და სრულყოფილი რეაბილიტაციისა, რის გამოც, გიორგი გამსახურდია იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიემართა. სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგის სარჩელი, თუმცა მეორე მხარე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პროცესი გაიწელოს და გაიწელოს ცოტნეს წარმატებული რეაბილიტაციაც.

„ძაან გაიგებს ცოტნე, კოშკშია, თუ სად არის. მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება“, – ზუსტად ამ სიტყვებით ამბობს უარს ცოტნეს საკუთარ სახლში შეშვებაზე მისი ბიოლოგიური დედა...

მაშ ასე, გაეცანით პროფესორ კელინგჰაუზის წერილს და დასკვნები იმის შესახებ, გაიგებს თუ არა ცოტნე „კოშკშია თუ სად არის“, თქვენთვის მომინდვია. ეს წერილი, რამდენიმე დღის წინ, სწორედ მაშინ მოგვწერა, როდესაც შეიტყო, რომ მისი მთავარი რეკომენდაცია ვერ შესრულდა. არც ისე იოლია, ცოტნეზე გადაყოლილ უცხო ადამიანს აუხსნა, თუ რატომ ხდება მისი მთავარი მოთხოვნის შესრულების შეფერხება“...

ამონარიდი ტექსტის ქართული თარგმანი:

„...მისი (ცოტნეს) ჯანმრთელობის აღდგენის პროცესისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუკი მას გადაიყვანენ თავის ყოფილ სახლში, სადაც დაიბადა და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. მეხსიერების ემოციური რეაგირება და აქედან გამომდინარე, შესაძლო პროგრესის სიდიდე და მნიშვნელობა, უგულებელყოფილი არ უნდა იქნეს. საკუთარ სახლში მის დაბრუნებაზე უარის თქმა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის რეაბილიტაციის პროგრესის შედეგს, რომელიც აქამდეა მიღწეული.

საუკეთესო სურვილებით, დოქტორი, ქრისტოფ კელინგჰაუზი“.

* * *

ამ ყველაფერიდან გამომდინარე, „ვერსია“ დაინტერესდა, როგორია ახლა ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა და რა სამართლებრივი ბერკეტი არსებობს, რომ მშობლიურ გარემოში – კოლხურ კოშკში დაბრუნება შეძლოს? – გთავაზობთ ინტერვიუს ცოტნე გამსახურდიას მეუღლესთან, ანა ჯაბაურთან, რომელიც მეუღლეს გვერდიდან არ შორდება და მისი რეაბილიტაციის პროცესში უდიდესი წვლილი შეაქვს. ჯაბაური ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ახლა, წეროვანში, სააკაშვილის ყოფილ რეზიდენციაში იმყოფებიან და მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო სარეაბილიტაციო ცენტრის ფიზიოთერაპევტები, მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, უტარებენ რეაბილიტაციას:

– ცოტნეს მდგომარეობა მცირედ გაუმჯობესებულია იმ მხრივ, რომ ემოციების გამოხატვა უკეთ დაიწყო. კერძოდ, ხუმრობასა და პოზიტიურ ინფორმაციაზე სიცილით რეაგირებს. ნელი, მაგრამ დადებითი დინამიკა გვაქვს.

– რა ეტაპზეა ეს საქმე და რისთვის იბრძვის გიორგი გამსახურდია?

– გიორგი გამსახურდია იბრძვის მხოლოდ ერთი რამისთვის – როგორმე, გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს საკუთარი ძმის რეაბილიტაციის პროცესი. ეს სასამართლოც მხოლოდ იმისთვის წამოიწყო, რომ ცოტნეს მიეცეს საშუალება, საკუთარ სახლში დაბრუნდეს. არავის უნდოდა სასამართლო დავის წამოწყება, მაგრამ მას, უბრალოდ, სხვა შანსი არ დაუტოვეს. პირველ ინსტანციაში საქმე მოიგო, მაგრამ მეორე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ყოველნაირად ცდილობს, პროცესი გაწელოს.

– არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, ცოტნეს მშობლიურ სახლში გადაყვანა შეესაძლებელი გახდება?

– სამართლებრივი მექანიზმი არსებობს, რა თქმა უნდა, სწორედ, სამართლებრივად უნდა მოხდეს ცოტნეს კოშკში დაბრუნება. მაშინ, როდესაც იურიდიულად, კოშკი იქნება მხოლოდ ცოტნესი და გიორგის, ვერავინ ვეღარ შეუშლის ხელს ცოტნეს სახლში დაბრუნებას. იურიდიული ასპექტის გარდა, არსებობს მორალურიც – ზვიად გამსახურდიას დატოვებული ერთადერთი ანდერძით, მისი უძრავ-მოძრავი ქონება და, მათ შორის კოშკიც, ეკუთვნის მხოლოდ ცოტნე და გიორგი გამსახურდიებს და სხვას არავის. ესაა ბატონი ზვიადის ნება და ყველა მცდელობა მისი სურვილისა და ერთადერთი ანდერძის აღსრულებისთვის ხელის შეშლისა, არის ამორალური. გარდა ამისა, ამორალურია ადამიანის საკუთარ სახლში დაბრუნებას ხელი შეუშალო მხოლოდ იმიტომ, რომ ის უმწეოა და საკუთარი უფლებების დაცვა არ შეუძლია. სწორედ ამ უსამართლობას აღუდგა გიორგი გამსახურდია წინ, მით უმეტეს, რომ ცოტნეს პროფესორის კატეგორიულ რეკომენდაციასაც მის საკუთარ სახლში დაბრუნების აუცილებლობის შესახებ, კარგად იცნობს.

– გიორგიმ განაცხადა, რომ მუზეუმისთვისგადასცემს სახელმწიფოს კოლხური კოშკის ნაწილს. ამ საკითხზე თქვენი პოზიცია როგორია?

– როგორც გიორგის, ასევე, ცოტნესა და კოკოს სურვილია, კოლხური კოშკი გახდეს მუზეუმი. ასეთი იყო ზვიად გამსახურდიას სურვილიც, რასაც კოკოს მიერ, არაერთხელ გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალაც ადასტურებს. ინციდენტამდე, ცოტნეს ხშირად უთქვამს ჩემთვის, რომ აუცილებლად მოახდენდა მის სიცოცხლეშივე კოშკის გადაცემას სახელმწიფოსთვის. რადგან ამ მოცემულობაში, ცოტნესთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარ სახლში დაბრუნება, ჩვენი სურვილია, მან იცხოვროს კოლხურ კოშკში, პარალელურად კი, განიხილებოდეს მასში მუზეუმის მოწყობის საკითხიც. კოლხური კოშკი საკმაოდ დიდი შენობაა. ცოტნეს საცხოვრებლად ერთი სართულიც ეყოფა. ასე რომ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

„პუტინმა ჰიტლერის რეალობაში დაგვაბრუნა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა კავშირია 1989 წლის 9 აპრილსა და რუსეთ-უკრაინის დღევანდელ ომს შორის – ზვიად ძიძიგურის ანალიზი და შეფასებები

40 დღეზე მეტია, უკრაინაში ომია. პუტინის მიერ უკრაინელი ხალხის გენოციდმა შეძრა მსოფლიო. არადა, ის, რასაც დღეს უკრაინაში ვხედავთ, წლების წინ, საქართველომ გადაიტანა. 1989 წლის 9 აპრილს, რუსეთის იმპერიალიზმი ალესილი ნიჩბებითა და ტანკებით გაუსწორდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ, გულანთებულ ახალგაზრდებს რუსთაველის გამზირზე. 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა კი საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდა... შემდეგ იყო სახელმწიფო გადატრიალება, ზვიად გამსახურდიას დევნილობა, მისი მოულოდნელი გარდაცვალება, მანამდე კი აფხაზეთის ომი და სოხუმის დაკარგვის მოუშუშებელი ტკივილი. ამას მოჰყვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს, უფრო ადრე – სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სასიტიკი ომი, რის გამოც, საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. უკრაინაში დღეს მიმდინარე ომი, საქართველოს ისტორიის კოშმარული იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელებაა... რა პარალელი შეგვიძლია გავავლოთ 1989 წლის 9 აპრილს დაწყებული მოვლენებიდან, რუსეთ-უკრაინის დღევანდელ ომამდე? – „ვერსია“ კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგურს ესაუბრა:

– ერთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია – რუსეთის იმპერიული ამბიციები და სურვილი, ებატონა მსოფლიოს დიდ ნაწილზე, არსად გამქრალა. სანამ საქართველოში 9 აპრილის ტრაგედია მოხდებოდა, იყო 1956 წელი ბუდაპეშტში, როცა უნგრელები ითხოვდნენ მეტ თავისუფლებას და რუსებმა ტანკებით ჩაახშეს პროტესტი. იგივე მოხდა პრაღაშიც...

1989 წლის 9 აპრილი იყო საქართველოს სამაგალითოდ დასჯის სურვილი, თავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო. ეს იყო პირდაპირი მესიჯი იმ მოძრაობის საწინააღმდეგოდ, რომელიც დამოუკიდებლობას ითხოვდა და აქაც გამოიყენეს სამხედრო ძალა, თან ყველაზე სასტიკი ფორმით – ნიჩბებით დაჩეხეს ახალგაზრდები. მიუხედავად იმისა, რომ დიდი პროტესტი იყო საბჭოთა კავშირის მიმართ მოწინავე საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს მხრიდან, ამას რუსეთისთვის ხელი არ შეუშლია, რამდენიმე თვის შემდეგ, იგივე ბაქოშიც ჩაედინა, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი მოკლა. რაც დღეს ხდება უკრაინაში, ესეც სასჯელია სუვერენული სახელმწიფოსი, რადგან რუსეთი მიიჩნევს, რომ უკრაინა ვალდებულია, იტრიალოს მის ორბიტაზე, უპასუხოს მის ინტერესებსა და ამბიციებს. აქედან გამომდინარე კი ნატო-ში გაწევრიანება რუსეთისთვის ის წყალგამყოფია, რომ შეუძლია, ასეთი საზიზღარი, ნაცისტური მეთოდებით უპასუხოს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის სწრაფვას დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების განხორციელებისკენ.

– ბატონო ზვიად, ვხედავთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა უკრაინელი ერი გააერთიანა. როგორ გახსენდებათ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, ასეთივე სულისკვეთება იყო საქართველოში?

– 8 და 10 აპრილის საქართველო ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო. თუკი 9 აპრილამდე, ქვეყანაში დამოუკიდებლობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე საუბარი მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილის თემა იყო, 9 აპრილის შემდეგ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი იყო დარწმუნებული, რომ რუსეთთან გაჩერება არ შეიძლებოდა, იგივე განწყობა ჰქონდა გლეხსაც, რომელიც ყანაში მუშაობდა...

სრულიად საქართველოს ერთადერთი დღის წესრიგი გახდა, რომ საქართველო გამხდარიყო დამოუკიდებელი და თავი დაეღწია საბჭოთა მარწუხებისგან. საქართველო მაშინ ახალგაზრდების სისხლმა გააერთიანა ისე, როგორც არასდროს. არ დამავიწყდება ის საქართველო – ერთობა, სიყვარული, რაც მთელმა საზოგადოებამ მოახერხა 9 აპრილს დაღვრილი სისხლის შემდეგ და ეს სამაგალითო და ამაღელვებელია დღესაც, ამდენი წლის შემდეგაც.

მსხვერპლი, რომელიც გაიღო მაშინ ქართველმა ხალხმა თავისუფლებისთვის, იყო მთავარი გამაერთიანებელი საქართველოსი და შემთხვევითი არ იყო, რომ ორი წლის შემდეგ, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ და „მრგვალმა მაგიდამ“, სწორედ 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამით ცალსახად გაესვა ხაზი, რომ კავშირი 1989 წლისა და 1991 წლის 9 აპრილს შორის, იყო პირდაპირი და სწორხაზოვანი.

დამოუკიდებლობის აღდგენა მოიტანა 9 აპრილს უდანაშაულო გოგო-ბიჭების დაღვრილმა სისხლმა!

– დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იყო სახელმწიფო გადატრიალება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები, დაკარგული ტერიტორიები... უახლეს ისტორიაში, ყოველთვის ჩანდა რუსეთის ხელი, ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კი – ღიად... თქვენი აზრით, დღესაც დგას საფრთხე, რომ რუსეთი ეცდება, საქართველოში შექმნას დესტაბილიზაციის კერა?

– 1991-92 წლების მიჯნაზე მომხდარი სამხედრო გადატრიალება რუსების იარაღით განხორციელდა. ამერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, ბიპაევისგან იღებდნენ კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი სამხედრო ტექნიკას, რომ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია ჩამოეგდოთ.

შემდეგ იყო 1992-93 წლების აფხაზეთის ომი, რომელიც არ იყო კონფლიქტი აფხაზ სეპარატისტებსა და საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას შორის. ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც მიმდინარეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე – რუსული რეგულარული ნაწილები მონაწილეობდნენ ტამიშში, დესანტის გადმოსხმაში, საავიაციო-საარტილერიო დაბომბვებში და ეს არავისთვის გახლდათ საიდუმლო. ამ წლების განმავლობაში, რუსეთი, პრაქტიკულად, ყოველთვის ერეოდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში და მიაჩნდა, რომ ეს ქვეყანა მისი გავლენის სფეროა.

განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა რუსეთისთვის, როდესაც საქართველომ დასავლური კურსი აირჩია, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება გამოაცხადა საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად. ამის შედეგი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რითაც რუსეთმა საქართველოს დასჯა სცადა.

აღმოჩნდა, რომ ის, რაც 2008 წელს, რუსეთმა საქართველოში გააკეთა, ყოფილა საპილოტე პროგრამა, რადგან 2014 წელს, იგივე გაიმეორა უკრაინაში და დღევანდელი ომიც იმ პოლიტიკის გაგრძელებაა.

რუსეთი ცდილობს, საბჭოთა კავშირის ამბიციები დაიკმაყოფილოს – დაიბრუნოს გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში, რასაც ყველაზე ბინძური და საშინელი მეთოდით ახორციელებს. 21-ე საუკუნეში, ცივილიზებული სამყაროს ერთი წარმომადგენელიც კი არ იფიქრებდა, რომ ისევ ვნახავდით იმ ომის საშინელებას, რომელიც მე-2 მსოფლიო ომსა და ჰიტლერის ფაშისტურ გერმანიას გვაგონებს. პუტინმა დღეს ამ რეალობაში დაგვაბრუნა.

– საქართველოს ხელისუფლება ირჩევს ფრთხილ პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში, რასაც ზოგი აკრიტიკებს, ზოგი კი ემხრობა. თქვენი ხედვით, როგორ უნდა იმოქმედოს ასეთ რთულ ვითარებაში მმართველმა ძალამ?

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიკავოს სწორი მხარე, სადაც დგას მთელი ცივილიზებული მსოფლიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩება რუსეთის პირისპირ. მიუხედავად იმისა, როგორი ენის მოჩლექვით გააკეთებ განცხადებებს რუსეთის მიმართ, ის მაინც გაატარებს თავის პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, არ გააღიზიანოს რუსეთის ხელისუფლება, რუსეთის ფედერაციამ ბიბილოვის პირით გამოუცხადა საქართველოს, თუ რა გეგმა აქვს და ეს არის ცხინვალის ყირიმიზაცია.

სომხეთ-რუსეთის ურთიერთობაა თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ ექცევა რუსეთი „პარტნიორებს“. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების განმავლობაში, სომხები ყველგან უჭერდნენ მხარს რუსეთის პოლიტიკას, როცა რუსეთს თავისი იმპერიული ამოცანებისთვის დასჭირდა ყარაბაღის თემა გადაეწყვიტა, მაშინვე „მიაყარა ნაცარი“ სომხების ინტერესებს – რუსეთმა სომხეთი „გადააგდო“ და ზუსტად იგივეს გააკეთებს საქართველოსთან მიმართებაშიც...

არ ვამბობ, რომ საქართველო თავით უნდა გადაეშვას ომში ან დაიწყოს სამხედრო ოპერაციები სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით – ამაზე დიდი უგუნურება წარმოუდგენელია და ამას არავინ ემხრობა. არავის მოუბრუნდება ენა თქვას, რომ ცხინვალისა და სოხუმის პრობლემები შეიარაღებული გზით გადავჭრათ – არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ფაქტია – ისე არ უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ დარჩეს რუსული იმპერიალიზმის მხარეს, სადაც ყოფნა, მორალური თუ პრაგმატული თვალსაზრისით, წამგებიანია.

წარმოიდგინეთ, დასავლეთის მოწინავე ქვეყნებმა ჩათვალონ, რომ საქართველო არაა ერთგული ევროატლანტიკური ან ევროკავშირის მიმართ გაკეთებული განცხადებებისა, ასეთ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, უარი თქვან არაღიარების პოლიტიკაზე, რომლითაც საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებულია. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ სოხუმისა და ცხინვალის გარდა, კიდევ რა უბედურების მოტანა შეუძლია რუსეთს, თუკი საქართველო პარტნიორებსა და მოკავშირეებს გაანაწყენებს იმის გამო, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, არასწორი პოზიცია დაიკავა?!

დასასრული მე-5 გვერდზე

„პუტინმა ჰიტლერის რეალობაში დაგვაბრუნა!“

მე-4 გვერდიდან

– ამ ფონზე, როცა მკაცრი სანქციების გამო, პუტინის რეჟიმს განადგურება ემუქრება, რამდენად რეალურია სოხუმისა და ცხინვალის მშვიდობიანი ინტეგრაციის პროცესის დაწყება?

– პუტინის რუსეთის დამარცხება პირველი თემაა, რომლის შემდეგაც შესაძლებელია, სოხუმისა და ცხინვალის პრობლემა საქართველოში გადაწყდეს მშვიდობიანი გზით. დაიწყოს ინტეგრაციის პროცესი, აქ ტერიტორიების დაბრუნებაზე კი არა, საუბარი საზოგადოებების გაერთიანებასა და კომუნიკაციის აღდგენაზეა. არც აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია გაერთიანებულა იოლად, მაგრამ გაერთიანდა მშვიდობიანად, რადგან დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა და განვითარების დონე იმდენად იყო აღმატებული, რომ აღმოსავლეთ გერმანიას მასთან ინტეგრაციის დაუოკებელი სურვილი ჰქონდა.

სწორედ ასე – საქართველო უნდა გახდეს მიმზიდველი მისი იურისდიქციიდან გასული რეგიონებისთვის ეკონომიკით, კულტურით, ცხოვრების დონით, რათა მოსახლეობაში კარდინალურად შეიცვალოს განწყობა ინტეგრაციის მიმართულებით. ეს სავსებით რეალურია და მეტსაც გეტყვით, ასეთი შანსი არ გვქონია, რომ აქედან საქართველო დარჩეს მოგებული არა მარტო გაერთიანების, არამედ, ევროსტრუქტურებში გაწევრიანების თვალსაზრისით.

რომ ამბობენ, უკრაინელების სისხლით გვინდა ამას მივაღწიოთო? – უკრაინელებს ქართველი ხალხის 100%-იანი მხარდაჭერა აქვთ და ჩვენც საკმაოდ დიდი ფასი გადავიხადეთ, სისხლი დავღვარეთ, რათა ნატო-სა და ევროკავშირის წევრი, ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვიყოთ. 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, სულ სისხლითა და ცრემლით, დიდი ნებისყოფით ვცდილობდით, გავმხდარიყავით ევროპული ოჯახის წევრი. ამას დასჭირდა 1992-93 წლების ომი, სადაც რუსები გვებრძოდნენ და ათასობით ქართველის სისხლი დაიღვარა; 2008 წლის ომი, სადაც ასევე, რუსული ავიაცია გვბომბავდა და სამხედრო ტექნიკით ისე შემოგვესია, როგორც ახლა შეესია უკრაინას – ყველაფერი ეს, ჩვენ უკვე გავიარეთ და თუ ვინმეს ენა მოუბრუნდება და იტყვის, საქართველოს არ უბრძოლია დამოუკიდებლობისთვისო, ბოდიში მოიხადოს! თუ რამე უბედურება და საშინელება შეიძლებოდა რუსეთის მხრიდან თავს დაგვტეხვოდა, ყველაფერი ეს, ჩვენი სისხლით გადავიტანეთ და მოვედით დღემდე!

ასე რომ, სავსებით რეალურია, პუტინის რუსეთის დამარცხების შემდეგ, საქართველომ გადადგას ნაბიჯები, როგორც ევროინტეგრაციის, ასევე, ნატო-ში გაწევრიანების მიმართულებით.

– რა მოლოდინი გაქვთ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით?

– ვერ გეტყვით, ეს რამდენად სწრაფად მოხდება, მაგრამ შეუძლებელია, მთელ მსოფლიოზე გაიმარჯვოს პუტინმა. დარწმუნებული ვარ, დამარცხდება პუტინის ეს გულისამრევი ძალა, რომელიც ასეთი მეთოდებით ცდილობს, გაბატონდეს სუვერენულ სახელმწიფოებზე. ამისთვის კი ყველაფერი უნდა გააკეთოს ცივილიზებულმა სამყარომ – უკრაინას სჭირდება ისეთი სამხედრო ტიპის მხარდაჭერა, რომელიც გაამარჯვებინებს, ამ დასკვნამდე კი, რაც უფრო სწრაფად მივლენ ნატო-სა და ევროკავშირის სახელმწიფოები, მით უფრო მალე დამთავრდება პუტინის რეჟიმი.

– ბატონო ზვიად, მიიჩნევთ თუ არა, რომ საქართველო უნდა შეერთებოდა დასავლურ ქვეყნებს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებში? აქვე, გაგახსენებთ სარკასტულ მითქმა-მოთქმას თქვენს შესახებ, ძიძიგურმა რკინიგზა გადაუკეტა რუსეთს და ამით „ბლოკადაში მოაქციაო“... მაშინ რა იყო თქვენთვის პოლიტიკური მესიჯი, როცა პროტესტის ამ ფორმას მიმართეთ?

– სამტრედიის ცნობილი აქცია, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ, არასწორ კონტექსტშია განხილული. მაშინ, ოპოზიციურმა „მრგვალმა მაგიდამ“, რომლის ხელმძღვანელი იყო ზვიად გამსახურდია, რკინიგზის პიკეტირება გააკეთა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით. მაშინ, ჩვენ, ოპოზიცია ვითხოვდით პროპორციულ არჩევნებს და ამ აქტის მიზანი არ იყო რუსეთის ბლოკირება. ვითხოვდით, გუმბარიძის ხელისუფლებას მიეღო ისეთი საარჩევნო კანონი, რომლითაც მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდებოდა და ამიტომ იყო სამტრედიაში გადაკეტილი რკინიგზა. აღნიშნულის შედეგად მივაღწიეთ ისეთი კანონის მიღებას, რომლითაც შემდეგ, არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“. გამოცხადდა დამოუკიდებლობა, ჩატარდა რეფერენდუმი და ყველა ეს ნაბიჯი გადადგა ეროვნულმა ხელისუფლებამ.

რაც შეეხება რუსეთისთვის ბლოკადის გამოცხადებას, ეს მოხდა, როცა ცხინვალში სეპარატისტებმა დაიწყეს გამოსვლა, რკინიგზელები გაიფიცნენ პროტესტის ნიშნად და ეს სამტრედიის აქციასთან არაფერ შუაშია. რომ ამბობენ, ზვიად ძიძიგურმა გამოუცხადა ბლოკირება რუსეთსო, ვერც მე და ვერც ზვიად გამსახურდია, რომლებიც მაშინ ოპოზიციაში ვიყავით, ბუნებრივია, ბლოკირებას ვერ მოვახდენდით, ამიტომ ეს არის უცოდინრობა იმ უახლესი პოლიტიკური ისტორიისა, რომელიც ჩვენს თვალწინ მოხდა.

რაც შეეხება თქვენი კითხვის პირველ ნაწილს, სანქციებს უნდა შევერთებოდით თუ არა, ღარიბაშვილის განცხადების ტონალობამ, ემოციამ და როყიოდ წამოსროლილმა ფრაზამ გამოიწვია ასეთი ემოცია, თორემ იმაში ყველა ვთანხმდებით, რომ რა სანქციაც უნდა დააწესოს საქართველომ, იმხელა სახელმწიფოს, როგორიც რუსეთის ფედერაციაა, ნამდვილად ვერ დააქცევს!

ამასთან, გვაქვს მორალური ვალდებულებებიც, რადგან რა მდგომარეობაშიც ვიყავით 2008 წელს, იმ მდგომარეიბაშია ახლა უკრაინა. მაშინ უკრაინის პრეზიდენტი ჩამოვიდა საქართველოში, დახმარება მივიღეთ, მათ გვერდით დგომას ვგრძნობდით. სალომე ზურაბიშვილის მიმართ, რომელმაც სწორი განცხადებები გააკეთა, პრეტენზია არ მომისმენია არც საქართველოში და არც – მის გარეთ. ელემენტარულად, შეიძლებოდა განცხადების იმ ფორმით გაკეთება, რომ ასეთი ტიპის გაღიზიანება არ გამოეწვია.

ცალსახად, პოლიტიკურ დილეტანტიზმთან გვაქვს საქმე, სწორ აქცენტებსა და პოლიტიკურ დასკვნებს ვერ აკეთებენ.

– ბატონო ზვიად, ბოლოს, გამიმხილეთ, აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?

– არსად წავსულვარ, უბრალოდ, ერთი წელია, რაც გადავწყვიტე, ტაიმ-აუტი ამეღო. 30 წელზე მეტია, ქართულ პოლიტიკაში ვარ, კარგად ვიცი პოლიტიკური კულუარები და ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია, რაღაცაში გამოავდგე ჩემს ქვეყანას.

როდის დაიწყება ფასების კლება და ინფლაციის დონის შემცირება – ეკონომიკის ექსპერტების დამაიმედებელი პროგნოზი

მაკა რუხაძე

გიორგი აბაშიშვილი: „რუსეთის უკრაინაში შეჭრით მსოფლიო ეკონომიკაში სრულებით ახალ არქიტექტურას მივიღებთ!“

„მესმის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ძალიან აწუხებთ ინფლაცია და გაზრდილი ფასები. ჩვენ, ყველა, დაინტერესებულნი ვართ, რომ რაც შეიძლება, შევუმსუბუქოთ ჩვენს მოქალაქეებს გაზრდილი ფასები და ის წნეხი, რომელიც ამ კრიზისებიდან გამომდინარეობს.

ზოგადად, ინფლაციას როცა ვახსენებთ, მინდა მოქალაქეებს გავახსენო, რომ კოვიდპანდემიით გამოწეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ინფლაციის მაჩვენებელმა არაერთ ქვეყანაში, არა მხოლოდ პროგნოზირებულს გადააჭარბა, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ში, 40 წლის რეკორდული მაქსიმუმი დაფიქსირდა, გერმანიაში ინფლაცია ბოლო 29 წლის მაქსიმუმზეა. ჩვენს ქვეყანაში, როგორც მთელ მსოფლიოში, გამოწვევაა ინფლაცია და ბუნებრივია, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. გამორიცხულია, რომ გამონაკლისი იყოს, რადგან პატარა ქვეყანა ვართ – პატარა ეკონომიკით და მიერთებული ვართ მსოფლიო ბაზარს. რაც აშშ-სა და ევროპაში ხდება, რა თქმა უნდა, ჩვენზეც აისახება. პანდემიამ თავდაყირა დააყენა მთელი მსოფლიო, ახლა დაემატა ეს ტრაგედია – ომი უკრაინაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში ასეთი მასშტაბის ომი არ ყოფილა. ბუნებრივია, ამას გავლენა ექნება ყველასა და ყველაფერზე, მათ შორის, ფასებსა და ეკონომიკაზე. ამიტომ, ამას კარგად გააზრება და ჩვენი მოქალაქეებისთვის კარგად ახსნა სჭირდება“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლების ოპონენტებს მოქალაქეები შეცდომაში შეჰყავთ, როდესაც ინფლაციასა პროდუქტების გაძვირებაზე საუბრობენ. პრემიერის განცხადებითვე, მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაზი გაცილებით იაფია, ცხადია, ჩვენი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორის, აზერბაიჯანის შემდეგ. ეკონომიკის ექსპერტების დახმარებით, „ვერსია“ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზს გთავაზობთ.

*** * ***

თავდაპირველად, „კომერსანტის“ მმართველ პარტნიორსა და „ჯეოქეისის“ მკვლევარს ეკონომიკის მიმართულებით, გიორგი აბაშიშვილს დავუკავშირდით:

– ბატონო გიორგი, საშუალო სტატისტიკურ ქართველს არ ამშვიდებს, რომ გერმანიასა და აშშ-ში ინფლაციის მაღალი დონეა, მას საკუთარი მძიმე მდგომარეობა აღელვებს, რადგან გაძვირებული პროდუქტების შეძენა აღარ შეუძლია. არ მეთანხმებით?

– პირველ რიგში, როდესაც ინფლაციაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ ერთ მთავარ ფაქტორს – ინფლაციის ზემოქმედება განსაკუთრებით მძიმეა იმ ქვეყანასა და საზოგადოებაში, რომელიც დაბალშემოსავლიანია. როგორც წესი, მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთი საზომი საშუალებაა, რამდენს ხარჯავს ესა თუ ის ოჯახი საკვებ პროდუქტებზე. ითვლება, რომ რაც უფრო ცოტა აქვს ადამიანს შემოსავალი, პროცენტულად, მით მეტს ხარჯავს საკვებ პროდუქტზე. ინფლაცია და გაძვირებული ფასები ყველასთვის, რა თქმა უნდა, თანაბრად მძიმეა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმედ ეს დაბალშემოსავლიან ოჯახებს ეხება. სამწუხაროდ, საქართველო იმ ქვეყნების სიაშია, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების მიხედვით, მაღალი შემოსავლებით არ გამოირჩევიან, ამიტომ საქართველოსთვის მტკივნეულია ფასების ცვლილება.

რამდენიმე დღის წინ, ცნობილმა გამოცემა „ეკონომისტმა“ საკვები პროდუქტების ფასების ინდექსი გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, რომ ბოლო წლებში, როგორც არასდროს (სწორედ, ეს ტერმინია გამოყენებული ანალიზში), საკვებ პროდუქტებზე გაზრდილია ფასები, განსაკუთრებით, მარტში – ომის შემდგომ პერიოდში. საქართველოში, რომლის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორები – უკრაინა და რუსეთი ომში არიან ჩართულნი და რომელიც იმპორტზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, ცხადია, როდესაც მთელ მსოფლიოში პროდუქტები ძვირდება, გადმოცემის ეფექტი მყისიერი ანუ უსწრაფესი იქნება. ეს იმიტომ, რომ შემომტანი მაშინვე იწყებს ფიქრს – თუ ახლა მის მიერ იმპორტირებული პროდუქცია ძვირად არ გაყიდა, მერე უცხოეთიდან ახალ იმპორტს ვეღარ შემოიტანს.

გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ბოლო კვლევის მიხედვით, განსაკუთრებით გაძვირდა სამომხმარებლო, მათ შორის, საკვები პროდუქტები, ასევე ენერგორესურსები და საცხოვრებელი ხარჯები. ცხადია, ყველაფერი ეს სხვადასხვა ქვეყანაზე სხვადასხვაგვარად აისახება. ზოგიერთი ქვეყანა გარკვეულ ბალანსს ახერხებს სხვადასხვა ტიპის ბუფერების გამოყენებით, ზოგიერთი ქვეყანა კი – ვერა. ამასთან, ნავთობის ფასს, როგორც მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად გაძვირებული პროდუქტისა, გადამდები ეფექტი აქვს სხვა პროდუქტების ფასებზეც. ბოლო დროს, მათ შორის, გასული კვირის ბოლოს, აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებებით ირკვევა, რომ აშშ-მ გახსნა საკუთარი რეზერვები, მეორე მხრივ კი პარტნიორები მილიონობით ბარელ ნავთობს მიაწვდიან მსოფლიო ბაზარს და ეს დამაიმედებელია ნავთობის გაიაფების თვალსაზრისით.

იმედი ვიქონიოთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, მსოფლიო ბაზარზე არა მხოლოდ ნავთობი, არამედ, სხვა პროდუქტებიც გაიაფდება. ფაქტია, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მსოფლიოს დაანახა, რამდენად მოუმზადებელი იყო მსგავსი ტიპის ტურბულენციისგან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ომის დასრულების ვადებსაც რომ თავი დავანებოთ, ერთი რამ ცხადზე ცხადია – მსოფლიო ეკონომიკაში სრულებით ახალ არქიტექტურას მივიღებთ.

– „მსოფლიო ეკონომიკის ახალ არქიტექტურაში“ რას გულისხმობთ?

– ახალ წყობას, ახალ ფასებს, ახალ სავაჭრო პარტნიორებს. რუსეთი ბევრი კუთხით გამოეთიშება გლობალურ ეკონომიკას და სხვა მიმართულებებით გადაერთვება. ამავდროულად, მნიშვნელოვნად შეიცვლება მიწოდების ჯაჭვები ანუ ლოგისტიკური პროცესები და ტრანზიტი სხვაგვარად გადანაწილდება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფასების ტურბულენცია გვექნება, მაგრამ მსოფლიო გლობალური ფასები სრულებით ახალ წონასწორულ მაჩვენებლებზე გადავა. თუ რა იქნება ეს წონასწორობები, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება, როდესაც ახალი ლოგისტიკური სქემები დალაგდება და ახალი სავაჭრო პარტნიორული ბლოკები ჩამოყალიბდება. ფაქტია, რომ ამას ვერ გავექცევით, რადგან რუსეთს ევროკავშირის ბაზარზე დიდი დოზით აღარ დააბრუნებენ. ეს ავტომატურად გამოიწვევს რუსეთის გადართვას აზიის მიმართულებაზე, მეორე მხრივ, აზიის პროდუქციის დიდი ნაწილი უფრო აქტიურად მოხვდება ევროპაში, ვფიქრობ, ჩინეთი უფრო მეტად გააქტიურდება ევროპის მიმართულებით. შესაბამისად, სრულად შეიცვლება გლობალური ეკონომიკის არქიტექტურა და ცხადია, საფასო პოლიტიკაც.

– თქვენს მსჯელობას განვაგრძობ: მას შემდეგ, რაც მძიმე ფინანსური სანქციები დაუწესეს რუსეთს აშშ-მა და მოკავშირეებმა, კანადამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მზადაა საერთაშორისო ბაზარს ნავთობი მიაწოდოს. მსოფლიოს ახალი ეკონომიკური არქიტექტურის კონტექსტში, კანადის ეს განცხადება ნიშნავს თუ არა, რომ ნელ-ნელა რუსეთი ჩანაცვლდება?

– კი ბატონო, ამას ნამდვილად ვისურვებდი და საბოლოოდ, ასეც იქნება. შეუძლებელია, რუსეთი იმ დოზით და იმ მნიშვნელობით დაბრუნდეს მსოფლიო ეკონომიკაში, როგორიც უკრაინაში ომის დაწყებამდე იყო!

ყველაზე გვიან, მიმდინარე წლის ბოლოდან, რუსეთი ვეღარასდროს იქნება ევროკავშირის მთავარი მომმარაგებელი ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ აირთან მიმართებაში. ძალიან კარგია, რომ რუსეთი დიდი წარმატებით გამოეთიშა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ბაზრებს, მაგრამ აუცილებლად გამოეთიშება ევროკავშირის ბაზარსაც. პუტინის სიცოცხლეში რუსეთს არავინ და არასდროს დააბრუნებს ევროპულ ბაზარზე იმდენად, რომ მას მცირედი შანტაჟის ელემენტები დაუტოვონ, რადგან ევროკავშირის ყველა ქვეყანა დარწმუნდა – რუსეთის ნდობა არ შეიძლება! მაგალითად, ახლა, იტალია ცდილობს, ბუნებრივი აირი ალჟირიდან მიიღოს და სწორედ

როდის დაიწყება ფასების კლება და ინფლაციის დონის შემცირება – ეკონომიკის ექსპერტების დამაიმედებელი პროგნოზი

ესაა მანქანა, რომელიც დაიქოქა და მას ველარაფერი გააჩერებს – ევროკავშირის ბაზარი ალტერნატივებით დაბალანსდება.

– ბატონო გიორგი, პროგნოზების ნაწილში, პოლიტიკის ექსპერტებისგან განსხვავებით, ეკონომიკის ექსპერტები და ანალიტიკოსები ბევრად მომგებიან პოზიციაში ხართ, რადგან თუ პოლიტიკოსების ქმედების წინასწარ განსაზღვრა ძნელია, ეკონომიკური პროგნოზი არცთუ რთულია – არსებულ ციფრებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მსჯელობთ. აქედან გამომდინარე, რამდენ ხანს გაგრძელდება ინფლაცია, მით უფრო ახლა, როდესაც ორწლიან პანდემიას რუსეთის უკრაინაში შეჭრაც დაემატა?

– ჩემი პროგნოზი რა მოსატანია მაშინ, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებს ვეყრდნობი. მსოფლიოს ქვეყნები პანდემიის შემდგომი პერიოდიდან გამოსვლასა და დანაკარგების აღდგენას იწყებდნენ, მაგრამ ზუსტად ამ დროს დაიწყო უკრაინაში ომი. ომამდე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს – სსფ-ს, „იბიარდსა“ და „აზიის განვითარების ბანკს“ სრულიად სხვა პროგნოზები ჰქონდათ, ახლა კი, მთელ მსოფლიოსა და მათ შორის, საქართველოში, ეკონომიკური ზრდის შემდგომი პროგნოზები გადაიხედა და შემცირდა. „იბიარდის“ კვლევები რომ ავიღოთ, ნოემბერთან შედარებით, პროგნოზები შემცირებულია. ცხადია, ეს ეკონომიკურ ზრდას შეამცირებს, მაგრამ რაც შეეხება ინფლაციურ პროცესებსა და გლობალურ ბაზარზე არსებულ ფასებს, ნავთობთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ფასები აუცილებლად შემცირდება.

საქართველოშიც ინფლაციის მაჩვენებელი დაიწყებს კლებას, მათ შორის, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ტრადიციული, სეზონური პერიოდი, როდესაც ჩვენს ბაზარზე გამოჩნდება ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა პროდუქცია, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. შესაძლოა, ეს პროდუქტები წელს უფრო გაძვირებული იყოს, მაგრამ ახლანდელი, საერთო ინფლაციური მაჩვენებელი შემცირდება. შემდგომი პროგრესი, როგორ გაგრძელდება კლება და მოხერხდება თუ არა უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, დამოკიდებულია კონფლიქტის მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე. ცხადია, თუ კონფლიქტმა მძიმე ფორმები მიიღო, გასაგებია, რომ ყველა პროგნოზი ახლიდან იქნება გადასახედი, მაგრამ თუ ვითარება მეტ-ნაკლები სტაბილიზაციისკენ წავა, შესაძლებელია, ვაჭრობა კიდევ უფრო მეტად გააქტიურდეს. ამდენად, აღარ ველი, რომ ფასების ზრდა დრამატულად გაგრძელდება.

– სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც „ვერსიაში“ ვრცლად გამოვაქვეყნეთ, უკრაინასა და რუსეთიდან იდენტური სახის პროდუქტები შემოდის, ძირითად, რძე და რძის ნაწარმი, ხორცპროდუქტები, სამშენებლო მასალები. რამდენად შესაძლებელია, რომ რუსული პროდუქცია აბსოლუტურად ჩანაცვლდეს უკრაინულით და არა მარტო საქართველოში, არამედ, ევროპის ქვეყნებშიც?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ როგორც უნდა გამაგრდეს რუსეთი დონბასის მიმართულებით და დაიწყოს ახალი პროვოკაციები, უკრაინის აღდგენა შეუქცევადი პროცესია. დიდი ბრიტანეთის პრემიერის, ბორის ჯონსონის უკრაინაში ვიზიტი და კიევში სხვა მაღალი რანგის ვიზიტები ნიშნავს, რომ უკრაინის დედაქალაქი განთავისუფლებულია ოკუპანტენისგან. ვფიქრობ, უკრაინის შეიარაღების პარალელურად, ამ ქვეყნის აღდგენა დაიწყება, რაც შეუქცევადი პროცესია. შესაბამისად, უკრაინა ძალიან სწრაფად ჩაერთვება მსოფლიო ეკონომიკის ჯაჭვში, მათ შორის, როგორც მიმწოდებელი – ამ ქვეყანას ამის უდიდესი პოტენციალი აქვს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიწოდების ჯაჭვებით. ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში, უკრაინა შეძლებს არა მხოლოდ საკუთარი პოზიციების დაბრუნებას, არამედ, კიდევ უფრო მეტად გამყარებასაც. ამ მხრივ, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მაღალი დონის ვიზიტები კიევში, სწორედ ამას მოწმობს. გარდა ამისა, ძალიან დიდ სივრცეს ვხედავ ჩვენი და უკრაინის ერთობლივი ვაჭრობისა და მოლდოვასთან ერთად სამივე ქვეყნის ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირში.

* * *

„ვერსიას“ თსუ-ს ანალიზისა და ეკონომიკური პროგნოზების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, ოთარ ანგურიძე ესაუბრება:

– ბატონო ოთარ, ორწლიანი პანდემიის კულმინაცია რუსეთის უკრაინაში შეჭრა იყო, რასაც ნავთობის გაძვირება მოჰყვა. საბოლოოდ კი, ყველაფერი ეს პროდუქტების ფასებზეც აისახა...

– ინფლაცია ორი თვის წინ არ დაწყებულა, ორი წლის წინ ანუ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკამ პირველი, ძლიერი დარტყმა მიიღო. გახსოვთ, რომ მაშინ ხალხმა დაიწყო პროდუქტების მომარაგება, მოთხოვნამ კი საწყის ეტაპზე ფასები გაზარდა. შემდეგ პროცესები ისე განვითარდა, რომ ეს ხელოვნური ინფლაცია ბუნებრივ ინფლაციად ჩამოყალიბდა. ჩვენთანაც იგივე პროცესები განვითარდა, რადგან საქართველოს მოსახლეობაც ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ამას ისიც დაემატა, რომ არ ვართ მწარმოებელი ქვეყანა, ძირითადად, სხვა ქვეყნებზე ვართ დამოკიდებული და შესაბამისად, მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკური პროცესები საქართველოზეც ავტომატურად აისახა.

დღეს ინფლაციის პიკზე ვართ და ამ ვითარებაში ორი ვარიანტია – ფასები ქვემოთ უნდა ჩამოვიდეს ან ერთ დონეზე შენარჩუნდეს და ამით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ახალი წონასწორობები ჩამოყალიბდეს, თუმცა თუ საქართველოში ფასები ზედა ზღვარზეა, იგივეს ვერ ვიტყვით ევროპის ქვეყნებზე, რადგან იქ კვლავ ძვირდება პროდუქტები. ეს იმიტომ, რომ ევროპა ღიადაა ჩართული რუსეთთან დაპირისპირებაში, ამან კი გარკვეული სახის რისკები შექმნა – ევროპა დიდწილადაა დამოკიდებული რუსეთის ენერგორესურსებზე, მათ შორის, ნავთობზე, ელექტროენერგიასა და გაზზე. რაც უფრო გაიწელება საომარი მოქმედებები უკრაინაში, მით უფრო დაზიანდება ევროპის ეკონომიკა. როგორც ჩანს, ამისთვის მზად ერთი ქვეყანაც კი არ ყოფილა...

– დიახ, ბოლო მომენტამდე არ ელოდნენ, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრებოდა.

– შესაბამისად, არც მზაობა ყოფილა და პირველი კვირის დაბნეულობამ გვანახა, რომ ფინანსურ სანქციებზე საუბარი მხოლოდ ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ დაიწყეს. პრაქტიკულად, არც ევროპა აღმოჩნდა ასეთი მასშტაბური ომისთვის მზად და ამიტომ, იქაც დიდია უკმაყოფილება ფასების ზრდის გამო, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ევროპაში რუსული ენერგორესურსების მიწოდება შეწყდება, გაცილებით მაღალი ინფლაცია დაფიქსირდება, რადგან ასე მარტივად და სწრაფად ვერ მოძებნიან ნავთობისა და გაზის ალტერნატიულ მომწოდებლებს. ამას გარკვეული სახის ინფრასტრუქტურა სჭირდება, სხვა ქვეყნები, საიდანაც შესაძლებელია იმპორტის განხორციელება, დაშორებულია ევროპისგან და ტრანსპორტირების შემთხვევაში, ნავთობზე, გაზსა და ელექტროენერგიაზე ფასების კიდევ უფრო ზრდა გარდაუვალი იქნება. ჩვენ ეს პრობლემა ნაკლებად გვაქვს, რადგან აზერბაიჯანზე ვართ დამოკიდებულნი, რომელიც უახლოესი მეზობელია, საერთო საზღვარი გვაქვს და არც გაზის ტრანსპორტირების ნაწილში გვაქვს პრობლემა.

– აზერბაიჯანის გარდა, ყაზახეთიც ხომ შეიძლება გაზის ერთ-ერთ მომწოდებლად განვიხილოთ, რაც შეეხება ელექტრონერგიას, გაზაფხულზე მდინარეები ადიდდება და შესყიდვა აღარ დაგვჭირდება.

– დიახ, ყაზახური გაზი ალტერნატივაა, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა – შორსაა, რის გამოც ძვირი დაგვიჯდება. მეორე მხრივ, თუ ყაზახეთი გაზის ტარიფს დაწევს, ამით დაბალანსდება საზღვრების სიშორე და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ყაზახეთიც ალტერნატიულ ვარიანტად განვიხილოთ.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, გაზაფხულზე პიკური გამომუშავების პერიოდია, მაგრამ გაზაფხულსა და ზაფხულს, შემოდგომა და ზამთარი მოსდევს, როდესაც დეფიციტური პერიოდი გვაქვს. ამ შემთხვევაში, გვიწევს იმპორტის განხორციელება, მაგრამ ამ ნაწილშიც რუსეთზე არ ვართ დამოკიდებულნი, იმპორტს სხვა მეზობელი სახელმწიფოებისგან – სომხეთსა და თურქეთიდან ვახორციელებთ. იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთზე ღრმა ენერგეტიკული დამოკიდებულება არ გვაქვს, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ამ მხრივ, ჩვენთან რისკებიც ნაკლებია.

– თქვენი პროგნოზით, როდის დასტაბილურდება ინფლაციური ფონი საქართველოში და როდის ელით ფასების კლების ტენდენციას?

– პირველ რიგში, ამისთვის საჭიროა, რომ ნეგატიური ფაქტორები შემცირდეს. ევროპის ლიდერები ღიად ალაპარაკდნენ, რომ აუცილებელია, ომი დასრულდეს – რისკები, რაც მომდინარეობს ომისგან, მოკლევადიანი არ იქნება. რაც უფრო მეტად გაჭიანურდება საომარი მოქმედებები, მით ღრმა კრიზისში შევა ევროპა არა მარტო სამხედრო ან პოლიტიკური, არამედ, ეკონომიკური თვალსაზრისითაც. რაც შეეხება საქართველოს, იმდენად მცირე და პატარა ქვეყანა ვართ, რომ მართალია, გლობალური რყევები ჩვენზეც მოქმედებს, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც საფრანგეთის, გერმანიის ან ბრიტანეთის შემთხვევაში. ეს იმიტომ, რომ არც ჩვენი ეკონომიკაა დიდი და არც – სახელმწიფო, შესაბამისად, ჩვენს ეკონომიკაზე ზეწოლა და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკური რყევები გაცილებით სუსტია.

როგორ გაფლანგეს მუნიციპალიტეტებმა საბიუჯეტო სახსრები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესდა. უწყებამ საზედამხედველო საქმიანობის აუდიტი განახორციელა და როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოავლინა. კერძოდ, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ხარვეზები ფიქსირდება, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვებში, ასევე საზედამხედველო მომსახურებასა და პროექტების ხარისხის მონიტორინგში.

სკანდალური დასკვნა – სახელმწიფო აუდიტი მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესდა

ხარვეზები საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ უხარისხო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამო, ხელშეკრულებები სისტემატურად იცვლებოდა. კერძოდ, 3 616 ხელშეკრულებიდან, 2 547 ხელშეკრულების (70%) პირობებია შეცვლილი, რომელთა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაში, ჯამში 7 321 800 ლარია გადახდილი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების შედეგად, 740 335 800 ლარის ღირებულების სამუშაოები დასრულდა თავდაპირველად განსაზღვრულ პერიოდზე მნიშვნელოვანი დაგვიანებით.

„მიზანშეწონილია, რომ სკოლებისა და საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდეს სასწავლო წლის დაწყებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო და სააღმზრდელო საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში ვერ დაიწყოს. სკოლებისა და საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ პროექტებში განხორციელებული ხშირი ცვლილებების შედეგად, 202 ხელშეკრულების ფარგლებში რეაბილიტირებული საბავშვო ბაღებიდან, სასწავლო წლის დასაწყისისთვის ვერ დასრულდა – 117, ხოლო საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაფორმებული 531 ხელშეკრულებიდან, სასწავლო წლის დასაწყისისთვის ვერ დასრულდა 114 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილი სწორედ ეს გარემოება ადასტურებს, რომ ამ დაწესებულებების მნიშვნელოვან ნაწილში, სასწავლო პროცესი დაგეგმილ დროს ვერ დაიწყო.

ხარვეზები საზედამხედველო მომსახურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული ზედამხედველი კომპანიები ჯეროვნად არ ასრულებენ ხელშეკრულების პირობებს. მეტიც, გაირკვა, რომ არსებული საკადრო რესურსით, შეუძლებელია, კონტრაქტორებმა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესზე სათანადო კონტროლი განახორციელონ. თავის მხრივ, არც მუნიციპალიტეტების მიერ მოწმდება ზედამხედველი კომპანიების მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

„2019-2020 წლებში, ზედამხედველ კომპანიებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჯამში 39 036 400 ლარი აუნაზღაურდათ ისე, რომ მუნიციპალიტეტებს სათანადოდ არ შეუმოწმებიათ, რამდენად ასრულებენ მიმწოდებლები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო საქმიანობის ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებს, ჯამში, წარდგენილი აქვთ 1 143 პირის მონაცემი, რაც სრულად აკმაყოფილებს სატენდერო პირობებით მოთხოვნილ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას. დოკუმენტაციის შესწავლით კი დასტურდება, რომ პროცესში ჩართული იყო 847 ზედამხედველი, რომელთაგან მხოლოდ 327 დასაქმებულის პერსონალური მონაცემები ემთხვევა კომპანიების მხრიდან ტენდერში ატვირთულ მონაცემებს“.

გარდა ამისა, კომპანიები კონკრეტული პირების პერსონალურ მონაცემებს წარადგენენ შესყიდვის პროცესში მონაწილეობის დროს, ხოლო მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტებთან გააფორმებენ ხელშეკრულებებს ფაქტობრივი სამუშაოების შესასრულებლად, სხვა ადამიანურ რესურსს იყენებენ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, არსებობს მაღალი რისკი, რომ ზედამხედველობის პროცესში არ მონაწილეობენ სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები, რაც გავლენას ახდენს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე.

„კონტრაქტორების ადამიანური რესურსების დატვირთვის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული რესურსით არაგონივრულია მშენებლობის ყოველდღიური მონიტორინგი. კერძოდ, სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე დატვირთული თვეებია აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდი. დოკუმენტების მიხედვით, ამ პერიოდში, 2019 წელს, ერთი თვის განმავლობაში, ზედამხედველი პარალელურად, 9-დან 38-მდე სხვადასხვა ხელშეკრულების ზედამხედველობას ახორციელებდა. 2020 წლის იმავე პერიოდში კი ყველაზე დატვირთული ზედამხედველები, პარალელურ რეჟიმში, მინიმუმ – 8 და მაქსიმუმ – 46 პროექტს უწევდნენ ზედამხედველობას“.

მეტიც, დოკუმენტების შესწავლის შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა ისეთი შემთხვევებიც გამოავლინეს, როდესაც ზედამხედველი პირი ინფრასტრუქტურული პროექტების ყოველდღიურ ზედამხედველობას ერთდროულად, რამდენიმე მუნიციპალიტეტში ახორციელებდა.

აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ზედამხედველი კომპანიები ფორმალურად ავსებენ სამუშაოების წარმოების ყოველდღიურ ჟურნალს. შეუძლებელია, დღის განმავლობაში, ერთი ზედამხედველი რამდენიმე ათეულ პროექტს უწევდეს მონიტორინგს გეოგრაფიულად მნიშვნელოვნად დაშორებულ ტერიტორიაზე და შემდგომ ჟურნალში ზუსტი მონაცემები გადაჰქონდეს. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ერთი ზედამხედველი ფიზიკურად ვერ შეძლებს ყველა ობიექტზე მთელი დღის განმავლობაში სრულად დააკვირდეს მშენებლობის პროცესს, მათ შორის, რამდენიმე ათეულ ლოკაციაზე.

ხარვეზები პროექტების ხარისხის მონიტორინგში

სახელმწიფო აუდიტორებმა ზედამხედველი ორგანიზაციების მიერ ყოველთვიური ანგარიშების შედგენის ვალდებულებებიც შეამოწმეს და დაადგინეს, რომ მუნიციპალიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პირობების შესრულებას. კერძოდ, აუდიტის შედეგად გაირკვა, 26 მუნიციპალიტეტში, კომპანიები ყოველთვიურ რეჟიმში არ ადგენდნენ სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშს და მუნიციპალიტეტებს არ აწვდიდნენ სათანადო ინფორმაციას.

„უმრავლეს შემთხვევაში, მიმწოდებლებს ანგარიშები, რომლებიც ყოველთვიურად უნდა შეედგინათ, წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ან ოთხჯერ ჰქონდათ წარდგენილი. იმ თვითმმართველობებში, სადაც ანგარიშები იყო წარდგენილი, ეს დოკუმენტები ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არ ქმნიდა რეალურ სურათს მშენებლობის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ არც ერთ შესწავლილ მუნიციპალიტეტს ზედამხედველი ორგანიზაციები არ დაუჯარიმებია ყოველთვიური ანგარიშების წარმოუდგენლობის გამო“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტებში ზედამხედველი ორგანიზაციები სათანადოდ არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და სრულყოფილად არ სწავლობენ, რამდენად შეესაბამება შესრულებული სამუშაოები დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს. 2019-2021 წლებში, 23 მუნიციპალიტეტში ჩატარებული შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ უხარისხოდაა შესრულებული და დაზიანებულია 58 553 500 ლარის ღირებულების სამუშაოები. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტების შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ზედამხედველი კომპანიების მიმართ არ გაუტარებიათ საჯარიმო სანქციები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ხარვეზები ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტები სათანადოდ არ აკონტროლებდნენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას და არ ატარებდნენ საკმარის ღონისძიებებს, სამუშაოების დროულად დასასრულებლად. ცალკეულ შემთხვევებში, სამუშაოების დასრულების ვადები გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, რითაც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გაუარესებულია ხელშეკრულების პირობები. თავის მხრივ, არც ზედამხედველი კომპანიები აწარმოებენ სათანადო კონტროლს მიწოდების ვადების დაცულობაზე.

თვითმმართველობებმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რა ობიექტური საჭიროებებით იყო განპირობებული 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ყველა პროექტის მონიტორინგის მომსახურების შესყიდვა. სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მერიებს არ აქვთ შემუშავებული სათანადო კონტროლის სისტემა იმის დასადასტურებლად, რამდენად სათანადოდ ასრულებენ ზედამხედველი კომპანიები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. შედეგად, 2019-2020 წლებში, ზედამხედველობის მომსახურების ცალკე შესყიდვაში, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ჯამში – 39 036 400 ლარია გადახდილი, თუმცა აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტებმა არსებითად ვერ გააუმჯობესეს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარისხი.

სამართალი

№14 13 აპრილი 2022 წ

18 წლის წინ, გორში გაუჩინარებული ბავშვის მკვლელობის დღემდე უცნობი დეტალები

ვინ არის იაგო ნებიერიძე – კრიმინალის დოსიე

ბათო ჯაფარიძე

2004 წლის პირველი ნოემბერი... გორში, 11 წლის ზაქრო ბერძენიშვილი დედამ ეზოში სათამაშოდ გაუშვა, მას შემდეგ ბავშვი არავის უნახავს – გაქრა და იმის მიუხედავად, რომ მთელი ქალაქი ეძებდა, კვალს ვერ მიაგნეს. არსებობდა მოწმე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ზაქრო ეზოდან მაღალმა, გამხდარმა ბიჭმა გაიყვანა. მალევე, სახლში წერილი მიიღეს, სადაც ოჯახს 20 ათას დოლარს სთხოვდნენ. წერილი ბოშა ბავშვმა მიიტანა და თქვა, რომ არ იცნობდა ადამიანს, ვინც წერილი მისცა. შემდეგ იყო მეორე წერილი და ზაქროს მამა მაშინვე გარეთ გავარდა. მართალია, ის, ვინც ბოშას წერილი გადასცა, დაინახა, მაგრამ გაექცა. ამის მიუხედავად, დაკარგული ბავშვის მამამ იცნო იაგო ნებიერიძე და მას სახლშიც მიაკითხა. ქურთუკი, რომელიც ნებიერიძეს ეცვა, საკიდზე ეკიდა. სამართალდამცავებმა ნებიერიძე დააკავეს...

მანამდე, ყველაფერ ამას საინტერესო ამბავი უძღოდა. ნებიერიძე და მამამისი ბერძენიშვილებთან მუშაობდნენ და მათ ავტოფარეხს აშენებდნენ. სწორედ მაშინ გაიცნეს ოჯახის ყველა წევრი და შესაბამისად, რატომ გაჰყვა კარგად ნაცნობ ნებიერიძეს ეზოდან ბერძენიშვილი მშვიდად, კითხვას აღარ ბადებდა, თუმცა ამის მიუხედავად, რბილად რომ ვთქვათ, სამართალდამცავებმა მაშინ ვერ ივარგეს და ნებიერიძეს მხოლოდ წერილის დაწერა ანუ გამოძალვის მცდელობა და თაღლითობა წარუდგინეს ბრალად, რის შემდეგაც სასამართლომ 20 წლის ნებიერიძეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ნებიერიძე ციხიდან 2008 წელს გათავისუფლდა, თუმცა იმავე წელს, ყაჩაღობის რამდენიმე ეპიზოდის გამო, შეკრებითობის პრინციპით, 17 წელი მიუსაჯეს. შემდეგ იყო ამნისტია, შეკრებითობის პრინციპის გაუქმება და ნებიერიძემ ციხე 2017 წელს დატოვა, 2018 წელს კი საქართველომ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი დანაშაულის შესახებ შეიტყო. ისევ გორში, 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი გაუჩინარდა. ნანიკო ცეკვაზე წავიდა და გაქრა. მთელი გორი ისევ ფეხზე დადგა, სამართალდამცავებმა ყველა სახლის ჩხრეკა ოპერატიულად დაიწყეს და რაც მთავარია, საქმეში კინოლოგები ჩართეს. ეს გარდამტეხი მომენტი იყო – ძაღლმა სწორედ ის სახლი იპოვა, სადაც, სავარაუდოდ, გოგონა მოკლეს. დეტალური დათვალიერების შემდეგ, სახლში სისხლიც იპოვეს, რომელიც დაკარგულ ნანიკოს ეკუთვნოდა.

იმავე საღამოს, გორში, რუსთაველის ქუჩაზე, სამართალდამცავებმა 34 წლის იაგო ნებიერიძე დააკავეს, რომელიც იმ სახლში, რომელსაც ძაღლი მიადგა, მუშად მუშაობდა. მალევე იპოვეს გოგონას ცხედარი – მდინარე ლიახვის ნაპირზე. არადა, სწორედ ის ადგილი, მოსახლეობამ რამდენჯერმე გაჩხრიკა. მერე გაირკვა, საქმეში კინოლოგების ჩარევის შემდეგ, ნებიერიძეს შეეშინდა, ცხედარი სახლიდან ურიკით გაიტანა და მდინარის პირას დააგდო. უდიდესი ალბათობით, მას ცხედრის გადაგდება მდინარეში სურდა, თუმცა ვერ მოახერხა, რაღაცამ ან ვიღაცამ ამაში ხელი შეუშალა.

ის, რომ ნებიერიძეს უვადო პატიმრობას მიუსჯიდნენ, თავიდანვე ცხადი იყო, თუმცა მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნებიერიძემ ძალოვნებთან ვაჭრობა დაიწყო და 2004 წელს გაუჩინარებული ზაქრო ბერძენიშვილის სამარხის ადგილის ჩვენების სანაცვლოდ, სამუდამოს ნაცვლად, 20-წლიან პატიმრობას ითხოვდა.

დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, რას დაპირდა მაშინ გამოძიება ნებიერიძეს, თუმცა თითქმის ერთი კვირის განმავლობაში, სამართალდამცავებმა გორის პარკი, ლამის, თავიდან ბოლომდე ამაოდ თხარეს და ეძებეს. მართალია, იქ ძვლები იპოვეს, მაგრამ შემდეგ დადგინდა, რომ ძვლები ცხოველის (სავარაუდოდ, ძაღლის) იყო. ამის შემდეგ, მინიშნება, რომ ნებიერიძემ დაკარგულ ბერძენიშვილზე რამე იცოდა, არ გაკეთებულა, თუმცა...

დაახლოებით, ორი წლის წინ, ძალოვანი სტრუქტურის კულუარებში კვლავ გაჟონა ინფორმაციამ, რომ ნებიერიძე სამართალდამცავებთან ვაჭრობას კვლავ ცდილობდა და ამტკიცებდა, თითქოს, ზაქრო ბერძენიშვილის სამარხის ადგილი იცოდა. რაც მთავარია, ამბობდა, რომ ყველაფრის შესახებ შემთხვევით გაიგო და რეალურად, ბავშვის გაუჩინარებაში ბრალი არ მიუძღოდა, რისი დაჯერება, თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ძალიან ძნელია. რატომღაც გვგonია, რომ ნებიერიძემ ყველაფერი 2004 წელსაც გადასარევად იცოდა, მაგრამ სამართალდამცავებმა მისი გამოტეხვა ვერ შეძლეს და ალბათ, იმიტომ, რომ იმ დროისთვის ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო და ნებიერიძემ კარგად იცოდა, არასრულწლოვნის მკვლელობისთვის დიდ სასჯელს მისცემდნენ, გამოძალვისთვის – მცირეს.

და მაინც, ჯიუტად გავიმეორებთ, რომ მაშინ 20 წლის ნებიერიძის დაკითხვა უკეთესად შეიძლებოდა.

შემდეგ იყო ის, რაც თავში ვთქვით – ყაჩაღობა, 17-წლიანი სასჯელი, ამნისტია და კიდევ ერთი, უსასტიკესად მოკლული ბავშვი. ამჯერად, ნებიერიძე ციხეში უვადოდ გაუშვეს, მაგრამ... არსებობს მცირე, მაგრამ მაინც შესაძლებლობა, რომ სამართალდამცავებმა ნებიერიძეს ინფორმაციის სანაცვლოდ, რამე შესთავაზეს. სამუდამო პატიმრობამისჯილ ადამიანს მხოლოდ ერთადერთი რამ შეიძლება შესთავაზო – სამუდამო სასჯელის რეალური სასჯელით შეცვლა, თუნდაც ეს რეალური სასჯელი 20 და 25 წელი იყოს. თუ ასე მოხდა ანუ თუ შეთანხმება შედგა, ძალოვანმა უწყებამ ნებიერიძე, უბრალოდ, უნდა „გადააგდოს“, სამუდამო სასჯელი არ უნდა შეუცვალოს და სიცოცხლის ბოლომდე, ოთხ კედელს აყურებინოს.

თბილისში ცნობილი ექიმი საავადმყოფოში დაახრჩვეს

მოტყუებული ქალის საშინელი შურისძიება

ბათო ჯაფარიძე

გამოძიებისას, ყველა დეტალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, სწორედ მცირე დეტალებზე ეწყობა ხოლმე ძიება საბოლოო შედეგის მისაღწევად. ამიტომ, აუცილებელია, რომ სამართალდამცავებს არაფერი გამორჩეთ და შედეგი აუცილებლად დადგება. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, მაშინ მოხდა, როცა ვიდეოთვალი ამა თუ იმ დაწესებულებაში არა სიტუაციის საკონტროლოდ, არამედ, პრესტიჟისთვის ეკიდა და ბევრი მათგანი არც კი მუშაობდა, მაგრამ სათვალთვალო კამერის დანახვა მოქალაქეებს უკვირდათ და ეს დაწესებულების მაღალ კვალიფიკაციაზეც მეტყველებდა.

ჰოდა, თბილისის ერთ-ერთი კერძო საავადმყოფოს შესასვლელში, ასეთი თვალი იყო და თქვენ წარმოიდგინეთ, მუშაობდა კიდეც. ამიტომ, როცა ღამის მორიგეობის დროს, ერთ-ერთი ექიმი გარდაცვლილი იპოვეს, სამართალდამცავებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს, რადგან საავადმყოფოს მეორე შესასვლელი საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი, რაც მთავარია, მის უკან იმდენი ნაგავი ეყარა, ღია რომ ყოფილიყო, იქიდან მაინც ვერავინ გავიდოდა ანუ მკვლელი აუცილებლად გაივლიდა კამერის წინ და გამომძიებლებს არც მისი ამოცნობა გაუჭირდებოდათ. მით უმეტეს, რომ ღამის საათებში, ვიზიტორების ოდენობა მკაცრად შეზღუდული და განსაზღვრული იყო, ამიტომ, ეჭვმიტანილთა წრე ძალიან ვიწრო იქნებოდა.

„ეს იყო ჩემი ერთ-ერთი ბოლო და ძალიან საინტერესო საქმე. შეიძლება ითქვას, დამნაშავემ დაგვცინა და რომ არა ერთი, უმცირესი დეტალი, რომელიც მას გაეპარა, შესაძლოა, საქმე დღემდე გაუხსნელი ყოფილიყო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექსპერტიზის დასკვნით, ექიმი თოკით იყო გაგუდული. მას უკნიდან მიეპარნენ, ყელზე თოკი შემოუჭირეს და გაგუდეს. ექიმი სუსტი ნამდვილად არ გახლდათ, ამიტომ ის ან მის მსგავს ძლიერ მამაკაცს უნდა გაეგუდა ან იყო მეორე ვარიანტი – შესაძლოა, გაეგუდა ქალს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ქალს მარყუჟი უნდა გამოესკვნა ანუ ექიმს უფლება უნდა მიეცა, რომ მისთვის თოკი მოეჭირათ, შემდეგ კი ეს თოკი გაესკვნათ და მოეკლათ, რაც არარეალურად ჩანდა. მით უმეტეს, ვიდეოთვალის ჩანაწერში ნათლად გამოჩნდა, რომ ღამის იმ მონაკვეთში, როცა ექიმი მოკლეს, საავადმყოფოში მხოლოდ ორი მამაკაცი შევიდა – ერთი კლინიკის მეპატრონე და მეორე უცხო, ნერვიული კაცი, რომელიც იქიდან მალე წავიდა, თუმცა ეს დრო სავსებით საკმარისი იქნებოდა ექიმის მოსაკლავად. სამართალდამცავებმა ჯერ კლინიკის მეპატრონე დაკითხეს.

„პაციენტი გახდა ცუდად და სასწრაფოდ გამომიძახეს. როგორც ექთანმა თქვა, მას მოულოდნელად წნევამ აუწია და ვერ დაუგდეს. მე სახლიდან გამოვვარდი, გასულ კვირას, ოპერაციის დროს, პაციენტი ისედაც მოგვიკვდა და კიდევ ერთი გარდაცვლილი კლინიკის დასამარებას ნიშნავდა. საბედნიეროდ, შევძელი წნევის დაგდება და შინ ბედნიერი წავედი. მორიგე ექიმის კაბინეტში არც შემიხედავს“, – განაცხადა კლინიკის მეპატრონემ.

რაც შეეხება იმ გარდაცვლილს, რომელიც ახსენა – ახალგაზრდა ქალს ხორცმეტის მოკვეთის ოპერაციას უკეთებდნენ და რადგანაც მას ძალიან ეშინოდა, ადგილობრივი გაუტკივარების ნაცვლად, სრული ანესთეზია გაუკეთეს, სხეულმა რეაქცია მისცა, ექიმები დაიბნენ და სასუნთქი მილი ფილტვების ნაცვლად, კუჭში ჩაუდეს, რამაც საბოლოო ჯამში, სიკვდილი გამოიწვია. გარდაცვლილის ქმარმა სასამართლოში იჩივლა და ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ ქალს ოპერაცია სწორედ მოკლულმა ექიმმა გაუკეთა, მეორე მამაკაცი კი, ვინც ვიდეოთვალის არეში მოხვდა, სწორედ იმ ქალის ქმარი იყო. მას ჰქონდა მოტივი და რაც მთავარია, დრო იმისა, რომ ექიმი მოეკლა. გამომძიებლებმა ეჭვმიტანილს სამსახურში მიაკითხეს, მაგრამ გაირკვა, რომ მან მკვლელობის მეორე დილასვე შვებულება აიღო და სად იმყოფებოდა, არავინ იცოდა. მასზე ძებნის გამოცხადებას აპირებდნენ, თუმცა იმ სოფლიდან დარეკეს, საიდანაც მამაკაცი წარმოშობით იყო და თქვეს, რომ ის სოფელში დილით ჩავიდა, მთელი დღე ცოლის საფლავზე გაატარა და ახლაც იქ იყო. გამოძიებამ ჩათვალა, რომ შურისძიების შემდეგ, კაცი ცოლის საფლავზე იმ მოტივით მივიდა, მისთვის ეს ამბავი ეხარებინა და ეთქვა, რომ მკვლელი საიქიოს გაისტუმრა. ოპერმუშაკები მის დასაკავებლად წავიდნენ.

„ვაღიარებ, რომ იმ დღეს კლინიკაში ვიყავი, ექიმიც ვნახე, მაგრამ ეს მისი ინიციატივით მოხდა. მან დამირეკა, შეხვედრა მთხოვა და მთხრა, რომ გადაწყვეტილება მიიღო და სასამართლოზე სრულ სიმართლეს იტყოდა, ბოდიში მომიხადა და თქვა, ექიმის ლიცენზიას ჩამომართმევენ, სავარაუდოდ, ციხეს არ მომისჯიან და შენ, როგორც კაცმა, კაცურად მაპატიეო. ვერ ვაპატიე, ვაგინე და წამოვედი. ცოლის საფლავზე კი იმიტომ მოვედი, რომ ის შემწყნარებელი იყო, ალბათ, არ მოეწონებოდა ჩემი საქციელი და სავარაუდოდ, აპატიებდა კიდეც“, – თქვა დაკავებულმა.

ექსპერტიზამ მამაკაცი ხელებზე შეამოწმა და დაზიანება არ ჰქონდა. არადა, თოკი ისეთი სიძლიერით იყო მოჭერილი, აუცილებლად დაუტოვებდა ხელის მტევნებზე მცირე სისხლჩაქცევებს მაინც. კაცი გაათავისუფლეს და დაბნეულმა სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს – სხვა ეჭვმიტანილი, უბრალოდ, არ ჰყავდათ.

გადაწყდა კლინიკის მეპატრონის ალიბის შემოწმება და გამომძიებლებმა ის გოგონა დაჰკითხეს, რომელიც ცუდად გახდა და რომელსაც თითქოს კლინიკის მეპატრონე თავზე ორი საათი დასტრიალებდა. გოგომ ყველაფერი დაადასტურა, მაგრამ ძალოვნები მიხვდნენ, რომ რაღაცას მალავდა, ამიტომ მკაცრად უთხრეს, თუ ცრუ ჩვენებას იძლევი, პასუხისგებაში მიგცემთო. გოგონამ ტირილი დაიწყო, კლინიკის მეპატრონე დამპირდა, თუ პოლიციას დაუდასტურებ, რომ მართლა შენ დაგტრიალებდი თავზე, მკურნალობის ფულს არ გადაგახდევინებო და ამიტომ ვიცრუეო. სამართალდამცავებმა ამჯერად კლინიკის მეპატრონე აიყვანეს.

„თქვენ ხომ არ გადაირიეთ? რატომ უნდა მომეკლა ჩემი კლინიკის ექიმი? ისედაც, დედა ეტირა კლინიკას, მთელი ქალაქი იმას ამბობს, იქ ხან პაციენტებს კლავენ, ხან – ექიმებსო და არავინ მეკარება. იმ გოგოს რაც შეეხება, ფულს ისედაც არ გადავახდევინებდი, გარდაცვლილმა ექიმმა მითხრა, ჩემი ახლობელიაო და როცა ღამე მე გამომიძახეს, ჩავთვალე, რომ ის სამსახურში, უბრალოდ, არ იყო, ამიტომ, მის ოთახში არც შემიხედავს, თორემ როცა ახლობელი ცუდადაა, სხვას რატომ უნდა დაუძახო?“ – ყველაფერ ამას დაკავებული კი არ ამბობდა, არამედ, ბოლო ხმაზე გაჰკიოდა და ეს სიმართლეს ძალიან, ძალიან ჰგავდა.

„მისი ჩვენების მოსმენის შემდეგ, ექსპერტს ხელი მოვკიდე, მანქანაში ჩავსვი და პირდაპირ კლინიკაში წავედი. გოგონა უკვე გაწერილი იყო, ჩანთა მხარზე ჰქონდა მოგდებული და ეზოდან გასვლას აპირებდა, როცა გავაჩერე და ექსპერტს თავი დავუქნიე, დაიწყე-მეთქი. მან გოგონას ხელები დაუთვალიერა და ასევე უხმოდ დამიქნია თავი. ქალის მაჯებზე ხელბორკილმა გაიჩხაკუნა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„ორი წელი მიმტკიცებდა ეგ ექიმი, ცოლად უნდა მოგიყვანოო. მერე მეგობარმა მითხრა, საავადმყოფოში, ღამის ცვლაში, ნამდვილ ორგიებს მართავს, უეჭველი ვიციო. ამიტომ, როცა ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა, მაშინვე აქ წამოვედი და პირველივე მორიგეობაზე დავრწმუნდი, რომ ჩემი მეგობარი არ ტყუოდა. ვუთხარი, ამას რატომ აკეთებ-მეთქი და მე აქტიური მამაკაცი ვარ, ცოლად თუ მოგიყვან, მერეც ასე მოვიქცევიო. რას ნიშნავს, „თუ მოგიყვან“-მეთქი და აბა, შენ გარანტირებულად გგონია, რომ ვიქორწინებო? კი არ დამცინა და დამამცირა, არამედ, ფეხქვეშ გამთელა და გადამიარა. იმ ღამეს, ყველაფერში გასარკვევად შევედი, ვიღაცას ელაპარაკებოდა და იმას უთხრა, ახლა ერთი ძუკნა შემოვიდა, ნერვები უნდა მომიშალოსო, იქიდან კისკისი გავიგონე. სპორტული მეცვა, იმის თოკი გამოვაძრე, ზურგსუკან დავუდექი და ჩურჩულით ვკითხე, ასე რატომ მექცევი-მეთქი, თან თოკი შემოვახვიე, გავნასკვე და რაც ძალა მქონდა, მოვჭიმე. არ ელოდა, თავიდან წინააღმდეგობაც კი ვერ გამიწია, მერე კი უჟანგბადობამ თავისი ქნა და ძალიან მარტივად მოკვდა. შემდეგ დავლიე წნევის წმალი, გამოიძახეს კლინიკის მეპატრონე და მისი ალიბი რომ გამექარწყლებინა, მოვიფიქრე ის, რაც მოვიფიქრე“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

სასამართლომ დაკავებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა.

ბათო ჯაფარიძე

ადრე, არცთუ იშვიათად ხდებოდა, რომ დანაშაულის გახსნის სტატისტიკის ასამაღლებლად, სამართალდამცავები ამა თუ იმ საქმეს უკვე დაკავებულ კრიმინალებს „ტენიდნენ“, ზოგს – ნებით, ზოგსაც – ძალით და ხელების გადაგრეხვით. როცა, მაგალითად, სამი-ოთხი ბინის ქურდობაზე დაიჭერდნენ პირს, უმტკიცებდნენ, მისთვის ორი-სამი შემთხვევის საკუთარ თავზე აღება პრობლემა არ იყო, სამაგიეროდ, ის შეღავათს იღებდა და თუ, მაგალთად, 7 წელი უნდა მიეცათ, 6 წელს აკმარებდნენ. ყველაფერი ეს ძალიან რთულდებოდა, როცა საქმე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ეხებოდა, მაგალითად, მკვლელობას.

22 წლის ქალის უცნაური მკვლელობა

როგორ დააფარა ძალოვანმა მამამ ხელი მკვლელ შვილს

„დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ახალგაზრდა, 22 წლის გოგო მოკლეს. იმის გამო, რომ ადგილზე გამოცდილი გამომძიებელი არ იყო (რამდენიმე დღით ადრე, ავარიით დაიღუპა, მისი შემცვლელი კი ჯერ არ იყო დანიშნული), თბილისიდან სასწრაფო წესით გაგვაგზავნეს მე და კიდევ ორი თანამშრომელი, გვითხრეს, იოლი საქმეა და ყველაფერს მალე დაასრულებთო. ადგილზე ჩასულებს, მართლაც, ყველაფერი ძალიან მარტივად დაგვხვდა – ადგილობრივებს მკვლელი უკვე დაკავებული ჰყავდათ. ჰო, მკვლელი, რადგან მისი დანაშაული ეჭვს, უბრალოდ, არ იწვევდა“, – იხსენებს ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ დღეს გოგონა თავისთვის გზაზე მიდიოდა, წინ სწორედ მკვლელობაში ეჭვმიტანილი გადაუდგა და ფული მოსთხოვა, ნაბახუსევი ვარ და რამე თუ არ დავლიე, მოვკვდებიო. გოგონამ უხეშად მოიშორა, ბიჭმა თავი არ დაანება და ჩანთის წართმევა დაუპირა. სწორედ ამ დროს, იქვე, შემთხვევით, უბნის რწმუნებული გაჩნდა, გამოცდილი კადრი, რომელიც სიტუაციაში მალე გაერკვა, ბიჭი გამოათრია და გოგოს მშვიდად წასვლის შესაძლებლობა მისცა. როგორც უბნის რწმუნებული ამბობდა, ბიჭს 3 მანეთიც მისცა, სადმე სასმელი რომ ეყიდა და ცოტა აზრზე მოსულიყო. ჰოდა, როცა საღამო ხანს, გოგონა მდინარის პირას გარდაცვლილი ნახეს, უბნის რწმუნებულს მაშინვე ის გაახსენდა, რაც დილით მოხდა და თანამშრომლებთან ერთად, ბიჭის დასაკითხად წავიდა, თუმცა ის შინ ვერ ნახეს, მაგრამ სახლთან ჩასაფრება მოაწყვეს. ბიჭი შინ თითქმის გამთენიისას დაბრუნდა, ისევ ძალიან ნასვამი და დააკავეს. სამართალდამცავებმა რამდენიმე მეზობელი გააღვიძეს და მათი თანდასწრებით ჩხრეკა ჩაატარეს. ყველაფერი რომ ამოაბრუნეს და ვერაფერი იპოვეს, ძალოვნებმა ახლა თავად ბიჭი გაჩხრიკეს და შემოსასვლელში, იატაკზე დაგდებული ქურთუკის ჯიბეებიც ამოაბრუნეს. ჯიბეში ოქროს საყურე და ყელსაბამი იდო, რომლებიც მოგვიანებით გოგონას დედამ ამოიცნო.

ბიჭი საბოლოოდ, სწორედ მაშინ გამოფხიზლდა, როცა დედაქალაქიდან მაძებრები ჩავიდნენ, დაკითხეს, მაგრამ არაფერი ახსოვდა. გოგონასთან კონფლიქტი გაიხსენა, რომელიც ერთი-ერთში დაემთხვა უბნის რწმუნებულის მონაყოლს, მერე თქვა, იმ ფულით არაყი ვიყიდე, დავლიე და მერე აღარაფერი მახსოვსო. სად იყო საღამოს, არც ის ახსოვდა, მკვლელობა კი, სავარაუდოდ, სწორედ, საღამოს საათებში მოხდა.

ბიჭის ბინიდან ამოღებული ნივთების უტყუარობა ყველანაირად დამტკიცდა, რაც მთავარია, გოგოს თავში ქვა ჰქონდა ჩარტყმული ანუ არც ცივი და არც ცეცხლსასროლი იარაღით არ იყო მკვდარი და მკვლელს თავისუფლად შეეძლო, ქვა წყალში გადაეგდო. ყველაფერი, მართლაც, მალე დასრულდა და თბილისში უპატაკეს გამომძიებლებს, რაიონულმა სასამართლომ მკვლელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯაო.

ჰო, ერთი, თითქოს უმნიშვნელო ნიუანსი – ერთ თვეში, გოგონას ქორწილი უნდა ჰქონოდა...

ეს ისტორია თითქოს დავიწყებას მიეცა. ყოველ შემთხვევაში, კითხვები არავის გასჩენია და ასე გავიდა, დაახლოებით, სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში, არაერთი საქმე იქნა გამოძებული, ზოგი – მძიმე, ზოგიც – ნაკლებად მძიმე, საინტერესო, უინტერესო და...

„ერთ დღეს, მეუღლესთან ერთად, სრულიად შემთხვევით, შორეულ ნათესავთან მოვხვდი. იმ რაიონიდან იყო, სადაც მკვლელობა მოხდა, უფრო ზუსტად კი, რაიონული ცენტრიდან, მკვლელობა კი სოფელში მოხდა. როცა მივდიოდი, თავში იმ ისტორიამ გამიელვა, თუმცა მალევე დამავიწყდა, სინდისი სუფთა მქონდა და იმიტომ, მივედით და მოულოდენლად, რაიონიდან ჩამოსული ხალხის ბინაში კი არა, მუზეუმში აღმოვჩნდი. სახლი უცხოური ავეჯით იყო გაჭედილი, ვიდეომაგნიტაფონიც (რომელიც მაშინ 2 ათას მანეთზე მეტი ღირდა) თვალსაჩინო ადგილზე ედოთ და სანამ სუფრასთან დავსხდებოდით, კასეტა ჩაგვირთეს, ჩვენი ქორწილიაო. თურმე, სპეციალურად, ქორწილისთვის, თბილისიდან ჰყავდათ ჩაყვანილი კინოსტუდიის ხალხი. ჰო, კინოსტუდიის და მერე, ყველაფერი ეს კასეტაზე გადაიტანეს. როგორ და რანაირად ხდებოდა ასეთი ამბები, მე, სამართალდამცავმა არ ვიცოდი, მაგრამ საქმოსნებისთვის ჩვეულებრივი თემა იყო. მოკლედ, ჩართეს ქორწილის ვიდეო, ჯერ სახლში გადაღებული, შემდეგ – ქუჩაში და მოულოდნელობისგან კინაღამ შევყვირე – კადრში ის ბიჭი გამოჩნდა, რომელიც გოგოს მკვლელობისთვის პირადად გავუშვი და ზუსტად ვიცოდი, რომ მას 15 წელი მიუსაჯეს. მაშინვე ვიკითხე, ეს თქვენს ქორწილში საიდან მოხვდა ან როდინდელი ვიდეოა-მეთქი და თარიღი მკვლელობის დღეს ზუსტად დაემთხვა. ვკითხე საათიც, როდის იყო ეს გადაღებული და მიახლოებითი დრო მითხრეს, რაც შეეხება იმ ბიჭს, ასე თქვეს, საიდანღაც უგონოდ მთვრალი მოვიდა, კარგად გავერთეთ, შემდეგ შეგვეცოდა ქუჩაში დატოვება, მანქანაში ჩავსვით და მთელი ღამე ავტომობილში ეძინა, გამთენიისას კი წავიდა და მას მერე აღარ გვინახავსო. გამოდიოდა, რომ ბიჭს ალიბი ჰქონდა და მერე როგორი?“ – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, კასეტამ მაშინვე საგამოძიებოში გადაინაცვლა და იმ საქმეზე თბილისიდან წარგზავნილი სამივე პირი ციხეში მყოფი „მკვლელის“ დასაკითხად წავიდა. მას ახალი არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ვერ ვიხსენებო, მაგრამ როცა ქორწილი უხსენეს, თითქოს დენმა დაარტყაო, ჯერ შეკრთა, მერე დაფიქრდა, მერე ცრემლები წამოუვიდა, სულ საქორწილო სიტუაცია მახსენდებოდა, მაგრამ მე ქორწილში ვინ დამპატიჟებდა და ამიტომ, მაშინ ვერაფერი ვთქვი, თანაც, რადგან ნივთები ჩემს სახლში იპოვეს, ჩავთვალე, რომ გოგონა ჩემი მოკლული იყო და ამიტომ, სასჯელი არ გამიპროტესტებია, დახვრეტაც რომ მოეცათ, ხმას არ ამოვიღებდიო. გამომძიებლებმა საქმე გამოითხოვეს და ახლა იმ მოწმეთა შესწავლა დაიწყეს, რომლებიც ჩხრეკას ესწრებოდნენ. ფაქტია: მოკლული გოგონას ნივთები იქ მკვლელმა მიიტანა და ჩხრეკის დროსაც ოთახში იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ ჩხრეკას მოხუცი ცოლ-ქმარი და კიდევ ერთი ახალგაზრდა ბიჭი ესწრებოდა. ცოლ-ქმრიდან კაცი გარდაცვლილი იყო, ქალს საერთოდ არაფერი ახსოვდა, რადგან მომხდარიდან მალევე სკლეროზი დაემართა, ახალგაზრდა ბიჭი კი...

„ვაღიარებ, რომ დაკავებული არ მომწონდა, მაგრამ მე არავინ მომიკლავს და არც ნივთები ჩამიდია. ის კი იმიტომ არ მომწონდა, რომ ნასვამ მდგომარეობაში, ჩემს დას ცუდად გაეხუმრა და ხელების ფათური დაუწყო“, – პირველივე დაკითხვაზე ამოღერღა მოწმემ. დარჩა ერთადერთი – უბნის რწმუნებული, რომლის ჩვენებაზეც იყო აგებული, პრაქტიკულად, ყველაფერი და რაც მთავარია, ჩხრეკაც ოპერატიულად სწორედ მან ჩაატარა და პატაკიც მისი იყო. მისი შესწავლა დაიწყეს, მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ თავის დროზე, გოგონა, სწორედ უბნის რწმუნებულის ბიჭს ხვდებოდა, უნდა ექორწინათ კიდეც, თუმცა მოულოდნელად, მან სხვა აირჩია და დაინიშნა. უბნის რწმუნებულის შვილმა გოგოს წასვლა მძიმედ გადაიტანა, მუდმივად ცდილობდა შერიგებას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსდიოდა. ბიჭი მოკრივე იყო და რაღა თქმა უნდა, ვერ შეამოწებდნენ, სად იყო იმ დღეს, თუ თავად მას არ ჰკითხავდნენ. ამიტომ, მამა-შვილს შინ დაადგნენ, საქმის ვითარება აუხსნეს და აღნიშნეს, რომ მთავარ ეჭვმიტანილად, სწორედ ისინი ჰყავდათ. მამამ თავი გაიგიჟა, თქვენ ხომ არ გადარეულხართო, ბიჭმა კი მშვიდად თქვა, მამაჩემის დაკითხვას რომ მორჩებით, მე მერე დამიძახეთ, ჩემს ოთახში ვიქნებიო. ამ საუბრიდან 7-8 წუთი იყო გასული, როცა ბიჭს ოთახიდან რაღაცის დავარდნის ხმა მოისმა. გამომძიებლებიცა და ბიჭის მამაც ოთახში შეცვივდნენ და ეჭვმიტანილი თოკზე ჩამოკიდებული დაინახეს. მისი გადარჩენა მოხერხდა.

„ბიჭი გოგოს შემთხვევით შეხვდა, კვლავ დაბრუნება სთხოვა, მერე ხელები ჩაავლო და აჯანჯღარებდა. როგორც ჩანს, ვერ მოზომა და როცა ხელი გაუშვა, გოგო დაეცა და თავი ქვას დაარტყა. ბიჭს შეეშინდა, ყველაფერი მამამისს უამბო, მან კი, როგორც გამოცდილმა მუშაკმა, ყველაფერი მარტივად მოაგვარა, მით უმეტეს, იმ დღეს მომხდარი შემთხვევა კარგად ახსოვდა და ესეც საუცხოოდ გამოიყენა. საბოლოოდ, შეცდომით დაკავებული გავათავისუფლეთ და პასუხისგებაში მამა-შვილი მივეცით“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

შვილს გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მამას კი დანაშაულის შეუტყობინებლობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და მტკიცებულებების გაყალბების ბრალდებით, 6 წელი ერგო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისსა და რეგიონებში ექვსი პირი დააკავეს, ამოღებულია სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1978 წელს დაბადებული ზ.ო. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში დააკავეს. პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო: „გეკოს“ სისტემის 3 გადაჭრილი თოფი, 3 სხვადასხვა მოდელის საფანტის პისტოლეტი, 1 კუსტარულად დამზადებული პისტოლეტი, 3 არარეგისტრირებული სანადირო თოფი, სხვადასხვა კალიბრის 28 საბრძოლო ვაზნა, „რგდ“-ის ტიპის ხელყუმბარა და 3 ფალია.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ხ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ტტ“-ს სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა. ასევე, ამოღებულია უკანონოდ კულტივირებული, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე.

გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ქ.-ის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 9 საბრძოლო ვაზნა.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს – 1991 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს, პოლიციამ მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 4 საბძოლო ვაზნა.

ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1961 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ძ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 11 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1971 წელს დაბადებული ბ.ფ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა მარტვილში, მისი საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების ჩხრეკის შედეგად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 54 ცალი ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დანაშაულები 4-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების, ასევე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა-მოყვანა კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 ნაწილებით და 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად, რუსთაველის გამზირზე, 9 აპრილის მემორიალთან მივიდა.

ვახტანგ გომელაურმა მემორიალი ყვავილებით შეამკო და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაურმა შეხვედრები გამართა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესთან და ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორთან, მარია გამეს გამესთან.

მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის წარმომადგენლებს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე, რომელმაც ამავე ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა ესპანეთის ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორის მოადგილესთან, ხოსე ანხელ გონსალეს ხიმენესთან.



ნაკრებს კაპიტანი დაურბუნდა – ლიპარტელიანი ევროპაზე იჭიდავებს

29 აპრილს, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, სტარტს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი აიღებს, რომელიც 1 მაისს დასრულდება. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლაშა გუჯეჯიანმა უკვე დაასახელა ის ძიუდოისტები, რომლებიც კონტინენტის პირველობაზე, საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ. სასიხარულოა, რომ პასუხის შემდეგ, ეროვნულ გუნდს კაპიტანი, ვარლამ ლიპარტელიანი დაუბრუნდა. მოგეხსენებათ, ტოკიოს 2022 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ლიპარტელიანმა კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განაცხადი, თუმცა ყველა თვლიდა, რომ 33 წლის ძიუდოისტისთვის წასვლა აშკარად ადრე იყო. ევროპის ჩემპიონატი მისთვის ყველაზე შედეგიანი ტურნირია – ვარლამს კონტინენტის პირველობაზე, 3 ოქროსა და 6 ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული. რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, ის ასე გამოიყურება:

კაცები: -60 კგ: ლუხუმ ჩხვიმიანი, ჯაბა პაპინაშვილი; -66 კგ: ვაჟა მარგველაშვილი; -73 კგ: ლაშა შავდათუაშვილი; -81 კგ: ტატო გრიგალაშვილი; -90 კგ: ლუკა მაისურაძე; -100 კგ: ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე; + 100 კგ: გურამ თუშიშვილი.

ქალები: -57 კგ: ეთერ ლიპარტელიანი; +78 კგ: სოფიო სომხიშვილი.

ლაშა ტალახაძე რეკორდსმენი აღარაა?!

ოფიციალურად დადასტურდა, რომ 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ძალოსნები 14-ის ნაცვლად, მედლების 10 კომპლექტს გაითამაშებენ. შედეგად, როგორც კაცები, ისე ქალები, შვიდი წონის ნაცვლად, ბედს 5-5 წონაში სცდიან. კაცები მედლების მოპოვებას -61, -73, -89, -102 და +102 კილოგრამში, ხოლო ქალები -49, -59, -71, -81 და +81 კილოგრამებში შეეცდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლანეტის უძლიერეს მამაკაცს, თამამად შეიძლება ითქვას, ყველა დროის საუკეთესო ძალოსანს, ლაშა ტალახაძეს, საკუთარი უპირატესობის დამტკიცება უკვე ახალ წონაში მოუწევს.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ბევრმა დაწერა, რომ ტალახაძე რეკორდსმენი აღარაა და მას საკუთარი უპირატესობის დამტკიცება ახლიდან მოუწევას. ჯერ ერთი, ლაშას ვერც რეკორდებს და ვერც ოლიმპიურ, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედლებს ვერავინ წაართმევს და მეორეც – რაც შეეხება უპირატესობას, 28 მაისს, ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი იწყება და ტალახაძე საკთარ ძალას იქ ყველას კიდევ ერთხელ დაანახებს.

ბასილაშვილი „მონტე კარლოს“ ტურნირს გამოეთიშა

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მეოცე ადგილზეა, მონტე კარლოს ტურნირზე სათამაშოდ ჩავიდა. მას პირველივე წრეში რთული მეტოქე, გრიგორი დიმიტროვი ერგო. შეხვედრა დაძაბულად დაიწყო და ბულგარელმა პირველი სეტი 6:3 მოიგო. მეორე სეტში, მაშინ, როცა ანგარიში დიმიტროვის სასარგებლოდ 2:0 იყო, ბასილაშვილმა შეხვედრის გაგრძელებაზე უარი თქვა. როგორც ამბობენ, მან ტრავმა მიიღო და აღარ გარისკა.

გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა ფინანსურად მომგებიანია (საპრიზო ფონდი, ლამის, 6 მილიონი ევროა), ნიკას შარშანდელი 80 სარეიტინგო ქულაც ჰქონდა დასაცავი, თუმცა მან ვერცერთი ვერ მოახერხა და ახლა იმედს ვიტოვებთ, მისი ტრავმა სერიოზული არაა და ბასილაშვილი კორტებს მალე დაუბრუნდება.

იარაღი ბელანოვმაც აიღო

კიევის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელი, იგორ ბელანოვი სექტემბერში 62 წლის გახდება, ასაკის მიუხედავად, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ბელანოვმა სხვების დარად, ხელში იარაღი აიღო და ფრონტის წინა ხაზზე იბრძვის. ის თამამად აცხადებს, რომ სიკვდილის არ ეშინია და მზადაა, ქვეყნის თავისუფლებისთვის სიცოცხლე გასწიროს. ვისაც არ ახსოვს, ვეტყვით, რომ ბელანოვი ის მოთამაშეა, რომელმაც 1986 წელს, ფეხბურთელისთვის ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდო – „ოქროს ბურთი“ მოიგო და კონკურენციაში უკან ისეთი ვარსკვლავები ჩამოიტოვა, როგორებიც ემილიო ბუტრაგენიო, მარკო ვან ბასტენი, გარი ლინეკერი, იან რაშ და მიშელ პლატინი იყვნენ.

რადგან უკრაინაზე ვსაუბრობთ, იმასაც გეტყვით, რომ საფეხბურთო კლუბ დონეცკის „შახტარის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა სურათი და წარწერა – „მადლობა, თბილისის „დინამოს“. ქართულმა კლუბმა უკრაინაში დიდი ოდენობის ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა და მეგობრებისგან მადლობაც ამიტომ მიიღო.

აბრამოვიჩს მამარდაშვილის კლუბის შეძენა სურს

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში, რუსი ოლიგარქების ანგარიშები დაყადაღდა, მათ სანქციები დაუწესდათ და რაც მთავარია, საქმიანობა აეკრძალათ. ერთ-ერთი უმკაცრესი სანქციები, ამ მიმართლებით, ბრიტანეთმა დააწესა და სიაში მოჰყვა ცნობილი ოლიგარქი, რომან აბრამოვიჩი. მან 2 მარტს, „ჩელსის“ აქციები სამართავად სამეთვალყურეო საბჭოს გადასცა და კლუბის გაყიდვაც დააპირა, თუმცა არც ამის უფლებას აძლევენ. არადა, თურქი ბიზნესმენი, „არისტოკრატების“ სანაცვლოდ, 3 მილიარდ გირვანქას იხდიდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ აბრამოვიჩს 4 მილიარდი სურს.

ჰოდა, ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსი ოლიგარქი ბრიტანეთიდან აბარგებას აპირებს და სურვილი აქვს, ესპანური „ვალენსია“ შეიძინოს – კლუბი, რომლის ღირსებასაც გიორგი მამარდაშვილი იცავს. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და ესპანეთში რუსი ოლიგარქების მიმართ ისეთი აკრძალვები არ არის, როგორც ბრიტანეთშია, თუმცა იმასაც ამბობენ, სანამ სანქციები არ მოიხსნება, აბრამოვიჩი ვერაფერს იზამს, რადგან მისი ყველა საერთაშორისო ანგარიში დაყადაღებულია და 20 მილიარდ დოლარამდე, უბრალოდ, გაყინულიაო.

რადგან მამარდაშვილი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ქართველი მეკარე საუცხოოდ ასპარეზობს და იმდენად დამაჯერებლად გამოიყურება, რომ მისმა კონკურენტმა, ჰოლანდიის ნაკრების კარის დარაჯმა, იასპერ სილესენმა „ვალენსიას“ დატოვება გადაწყვიტა და ზაფხულში კარიერას, სავარაუდოდ, „პსვ ეინდჰოვენში“ გააგრძელებს.

რონალდუ სერიოზულ შარშია

ინგლისური პრემიერ-ლიგის მორიგ ტურში, ლივერპულის „ევერტონმა“, საკუთარ მოედანზე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიიღო და 1:0 დაამარცხა. ნამატჩევს, გვირაბისკენ მიმავალ ფეხბურთელებს, როგორც წესი, გულშემატკივრები სურათებს ულებდნენ და მათ შორის იყო 14 წლის ჯეიკ ჰერდინგი – აუტისტი ბავშვი, რომელიც ასევე სურათებს იღებდა. როგორც ჩანს, მარცხით გაღიზიანებული სტუმართა ვარსკვლავი, კრიშტიანუ რონალდუ ხასიათზე არ იყო და...

„თამაშის შემდეგ, „მანჩესტერის“ ფეხბურთელებმა მოედნის დატოვება დაიწყეს, გვირაბთან ვიყავით, სადაც ისინი გადიოდნენ. ჩემი შვილი ყველას იღებდა, შემდეგ მან ტელეფონი ძირს დასწია, რადგან რონალდუს ფეხზე სისხლდენა ჰქონდა. კრიშტიანო საშინელ განწყობაზე იყო და არც არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ტელეფონი აიღო, გატეხა და სიარული გააგრძელა. ვერც ვიჯერებ, რომ ეს მოხდა, ჯეიკი შოკში იყო, ის აუტისტია და სახლში დაბრუნებამდე ვერც მიხვდა, რა მოხდა. ის პირველად იყო სტადიონზე და მოხდა ის, რაც მოხდა, ძალიან იმედგაცრუებულია. სრულიად ფანტასტიკური დღე იყო მანამდე, მაგრამ ყველაფერი ჩაგვშხამდა. რონალდო არ არის „ევერტონის“ ფეხბურთელი, მაგრამ ყველასთვის კერპია, ჩემი შვილი ბედნიერი იყო და ამბობდა, რომ მას ნახავდა“, – ეს განცხადება ბავშვის დედამ, სარა კელიმ გააკეთა.

„ადვილი არაა ემოციებთან გამკლავება ისეთ მომენტში, როცა მარცხდები, თუმცა ყოველთვის უნდა გამოვიჩინოთ პატივისცემა, მოთმინება და მაგალითი მივცეთ ყველა ახალგაზრდას, ვისაც ფეხბურთი უყვარს. მინდა, ბოდიში მოვიხადო ჩემი საქციელის გამო და ეს გულშემატკივარი მივიწვიო „ოლდ ტრაფორდზე“, თამაშის საყურებლად“, – რონალდუმ ეს განცხადება კი გაავრცელა, მაგრამ ლივერპულის პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო და მოზარდზე ძალადობის მუხლით, საქმეც აღძრა.

რობენის კიდევ ერთი სასწაული



ლეგენდარულმა ჰოლამდიელმა ფეხბურთელმა, არიენ რობენმა კარიერა ორი წლის წინ დაასრულა. ამის მიუხედავად, ვეტერანი ფეხბურთელი მუდმივად იმეორებდა, რომ ვარჯიშს არ წყვეტდა და კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო. სწორედ ამიტომ, მას საქველმოქმედო მარათონში მონაწილეობა მეგობარმა, ერბენ ვენებარმა სთხოვა. რობენი გამოწვევას დასთანხმდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მას გულშემატკივრები 42 კილომეტრის გარბენას სრულად სთხოვდნენ.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ მარათონს ბოლომდე ვერ დავასრულებდი და შუა გზაზე წავიქცეოდი, თუმცა მთელი 42 კილომეტრის მანძილზე, გულშემატკივრები იყვნენ ჩამწკრივებულნი და ისე მქომაგობდნენ, იმედებს ვერ ვუცრუებდი. საკმარისი იყო თუნდაც ერთი, 20-მეტრიანი მონაკვეთი, სადაც გულშემატკივრები არ იდგებოდნენ და მე გავჩერდებოდი, მაგრამ ასეთი მონაკვეთი არ შემხვდა. ამიტომ, ბოლომდე ვირბინე და, უბრალოდ, ძალიან მიხარია, ცოცხალი რომ გადავრჩი“, – განაცხადა რობენმა, მაგრამ... მან 42 კილომეტრი 3 საათსა და 15 წუთში დაფარა და პირველობაც არავის დაუთმო, რაც 36 წლის ვეტერანისთვის ცუდი შედეგი ნამდვილად არაა.

შაშვის ბუდე

ენდი ნემსიწვერიძე

გაზაფხულის დადგომისთანავე, როცა ჯერ კიდე კარგად არ იყო ფოთლებით შემოსილი ხეხილი, ღობის ძირში, ერთიმეორის მიყოლებით გამწკრივებული თხილის ბუჩქების ქვეშ, ახლად ამობიბინებულ მოლზე ყვითელფეხება შაშვი შევნიშნე – აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდა, ხტუნვა-ხტუნვით მოირბენდა ეზოს, ბალახს მოწიწკნიდა, რაღაც ნარჩენებს აკენკავდა, შეჩერდებოდა, ხან ერთ თვალს დააელმებდა და ხან – მეორეს, სწრაფად მიათვალიერ-მოათვალიერებდა გარემოს, მოულოდნელად აჭახჭახდებოდა, აფრინდებოდა, იქვე, თხილების გასწვრივ, სწორხაზოვნად გავლებულ ლითონის ღობეზე შემოჯდებოდა, გარემოს დაზვერავდა და გაუჩინარდებოდა.

თითქმის მთელი კვირა ასე გრძელდებოდა. გუმანით მივხვდი – შაშვი საქორწილოდ ემზადებოდა და მყუდრო გარემოსაც საამისოდ არჩევდა. როგორც ჩანდა, გულისწორი პირობას უყენებდა, მანამ ვერ გამოგყვები, სანამ საკუთარი ბუდე და ელემენტარული პირობები არ გექნება, შვილები რომ გავაჩინოთ და გავზარდოთო. ამ პირობის შესასრულებლად კი, განსაკუთრებული მონდომება იყო საჭირო, მით უმეტეს, რომ ეზოში, იქვე, თხილის ბუჩქების ახლოს, საკმაოდ მოზრდილი, შიგადაშიგ ჩალისფერი ლაქებით ‘დატალღული~ თეთრი ფერის ქართული ნაგაზი სახლობდა. არც დღე ისვენებდა და არც – ღამე: დარბოდა, გარს უვლიდა სახლს, ეზოს; მართალია, ადამიანების მიმართ ძალზე კეთიგანწყობილი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, თავის სამფლობელოში არც ფრინველს აჭაჭანებდა და არც – ცხოველს.

აჭახჭახებულ შაშვსაც შეუტია, შეუყეფა, ღობემდე სდია და საშუალება არ მისცა, ეზოში გაჩერებულიყო. შაშვიც ჯიქურ იქცეოდა: დილით ადრე მოფრინდებოდა ხოლმე და ნაგაზს თავს ახსენებდა. იმდენი ქნა, ბოლოს და ბოლოს, შეეგუა ძაღლი ეზოს ახალ სტუმარს – აღარ უყეფდა, პირიქით, დილით, თუ შაშვი მოფრენას დაადგვიანებდა, თითქოს ელოდებაო, ისე მიირბენდა ღობესთან, თხილებთან ბალახს დაყნოსავდა, სუნს აიღებდა, ღობეზე კაცივით გადადგებოდა და დაინახავდა თუ არა, რომ შაშვი მოფრინდა, ბალახზე წამოწვებოდა და იძინებდა...

გაუშინაურდა შაშვიც, პირდაპირ ჩაძინებული ძაღლის ცხვიწინ იწყებდა ასკინკილით სირბილს, ჭახჭახს – თითქოს, იწვევსო, მაგრამ ნაგაზი ყურადღებას აღარ აქცევდა.

ერთ დილას, სატრფოსთან ერთად მოფრინდა. თვითონ პირდაპირ შუა ეზოში დაიწყო თავმომწონედ სირბილი, გულისწორი კი, ინაზებოდა, ფრთხილობდა, შიში ემჩნეოდა, მაგრამ მამრი რისი მამრია?! – აგულიანებდა, ძაღლთან მიფრინდებოდა, ცხვირწინ დაუსკუპდებოდა და თითქოს მდედრს ეუბნებოდა, მოდი, რისი გეშინია, აქ, ამ ეზოში ყველაფერი მე მემორჩილებაო.

მალე ორთავემ ბუდის შენება დაიწყო თხილის სწორედ იმ ტოტზე, რომლის ქვემოთაც ნაგაზისთვის სახელდახელოდ შეჭედილი, არცთუ მცირე ზომის ფიცრული იდგა.

რამდენიმე დღეში დაასრულეს ბუდის მშენებლობა.

რამდენიმე დღე ეცეკვნენ ერთმანეთს, იგალობეს, იჭიკჭიკეს, იფრთხიალეს. მერე, ბუდეში სამი ჭორფლიანი კვერცხი გაჩნდა, მერე, მდედრი გაუნძრევლად ‘დააკვდა~ კვერცხებს, მამრი არ ისვენებდა, წამდაუწუმ მოჰქონდა საკვები და როგორც ბარტყს, ისე კვებავდა თანამეცხედრეს.

გარკვეული დროის შემდეგ, ბარტყებიც გამოიჩეკნენ. ისმოდა მათი ჭყლოპინის ხმა. თუ რამე საფრთხეს იგრძნობდნენ, შაშვები უასაშველოდ მორთავდნენ ჭახჭახს, გამოვარდებოდა ნაგაზი და შეუერთდებოდ ყეფით. გაიგონებდნენ თუ არა ძაღლის ყეფას, შაშვები დაცხრებოდნენ, დაშოშმინდებოდნენ და შვილებისთვის საზრდოს საძებნად დაიმედებულნი გაეშურებოდნენ ხოლმე.

ერთხელ, როცა შევამჩნიე, რომ შაშვები ბუდიდან შორს იყვნენ გაფრენილნი, გადავწყვიტე, ბარტყები ახლოდან მენახა. ეზო გადავსერე და თხილის ბუჩქს მივუახლოვდი. ნაგაზი კუდის ქიცინით შემომეგება – ჩემს დანახვაზე თვალებში ყოველთვის სხივი უდგებოდა და ასე გამოხატავდა სიყვარულსა თუ ერთგულებას. მოვეფერე – თავზე ხელი გადავუსვი; თვითინაც მომელაქუცა.

ძაღლს გავცდი და თხილის ტოტი მოვზიდე, რომელზეც შაშვის ბუდე იყო ჩაგვირისტებული. ძაღლის ღრენა მომესმა, მოვბრუნდი და ჩემი ნაგაზი მწყრალი თვალებით მომჩერებოდა – მიყეფდა და მანიშნებდა, რომ თხილის იმ ტოტისათვის ხელი არ მეხლო. ამასობაში, შაშვებიც მოფრინდნენ. აიკლეს იქაურობა ჭახჭახით, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. გავეცალე იქაურობას, შინ შევედი და ფანჯრიდან გავიხედე:

დაშოშმინებული შაშვები, ბუდესთან, აქეთ-იქედან იყვნენ შემომსხდარნი და ბარტყებს უყურებდნენ, ჩემი ნაგაზი კი, ქვემოდან მისჩერებოდა და კუდს ისე ლმობიერად უქიცინებდათ, როგორც მე – მის ერთადერთ დამპურებელს და პატრონს, შაშვის ბუდესთან მიახლოებამდე.

მოსამართლე ქურდობისთვის დააკავეს

შვედეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე მაღაზიიდან შაშხისა და სოსისების ქურდობისთვის დააკავეს. როგორც კი მის საქმეზე გამოძიება დაიწყო, 65 წლის ქალი თანამდებობიდან გადადგა. ცნობილია, რომ შემთხვევა შობის წინ, სტოკჰოლმის ერთ-ერთ სუპერმარკეტში მოხდა. მისმა თანამშრომლებმა მოსამართლე მაშინ დააკავეს, როცა მას, სხვა პროდუქტებთან ერთად, შაშხი, ყველი და სოსისებიც გაჰქონდა. თუმცა, მოსამართლე მათი მოპარვის განზრახვას უარყოფს. წვრილმანი ქურდობისთვის ჯარიმა 50 ათასი შვედური კრონია (4800 ევრო). თებერვალში, როგორც კი მის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო, თემიდას მსახური თანამდებობიდან წავიდა. აქამდე, ქალმა უმაღლეს სასამართლოში, დაახლოებით, 20 წელი იმსახურა.

„ბუდას ყურებს“ იკეთებენ

ვიეტნამში სულ უფრო პოპულარული ხდება კოსმეტიკური პროცედურა, რომელსაც „ბუდას ყურებს“ უწოდებენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, სილამაზის სალონებს უამრავი ადამიანი აკითხავს, რათა ყურის ბიბილოში შემავსებელი შეიყვანონ. აქაურებს სწამთ, რომ ბიბილოს ზომის გაზრდით, ბუდას ყურის მსგავსი ექნებათ, ეს კი სიმდიდრესა და წარმატებას მოიზიდავსო. „ბუდას ყურებს“ ყველაზე მეტად 30 წელს გადაცილებული მამაკაცები იკეთებენ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რელიგია დიდ როლს ასრულებს მათ წარმატებასა და ბიზნესში. თუმცა, მედიკოსები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ მსგავსი ოპერაცია, შესაძლოა, სავალალო შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. მიზეზი იაფფასიანი ჰიალურონის მჟავაა, რომელსაც ეკონომიის მიზნით იყენებენ.

რუსეთს სამუზეუმო ექსპონატები ჩამოართვეს

ფინეთის საბაჟო სამსახურის განცხადებით, მათ დააკავეს და კონფისკაცია გაუკეთეს ექსპონატებს ერმიტაჟიდან, ტრეტიაკოვის გალერეადან და რუსეთის სხვა მუზეუმებიდან. სამუზეუმო ნივთებს ევროპიდან შინ, რუსეთში აბრუნებდნენ, რომლებიც იტალიაში, „გრანდ-ტურის“ გამოფენაზე წაიღეს. ამ გამოფენის ორგანიზატორი არა სახელმწიფო, არამედ, იტალიური საბანკო ჯგუფი Intesa Sanpolo იყო. ოფიციალური ჰელსინკის თქმით, მიზეზი ის არის, რომ სანქციების დარღვევის მცდელობა დაფიქსირდა. სპეციალისტების მოსაზრებით, ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ევროპიდან მოჰქონდათ, შესაძლოა, რუსეთში აღარც დააბრუნონ. მომხდარ ფაქტზე ფინეთის საბაჟო გამოძიებას ატარებს. დაკავებული საკუთრების რიცხვშია ანტიონიო კანოვას ქანდაკება, ლარნაკები, სხვადასხვა ქანდაკებები, კვარცხლბეკები, რომლებიც XVIII საუკუნის ბრინჯაოს ცნობილი ოსტატის, ლუიჯი ვალადიეს მიერაა შექმნილი, ასევე, ცნობილი მხატვრების ათობით ტილო.

აუქციონზე მთვარის მტვერს გაყიდიან

გამოცემა „ფორბსის“ ინფორმაციით, დედამიწის თანამგზავრის მტვერი, რომელიც ამერიკელმა ასტრონავტმა, ნილ არმსტრონგმა ჩამოიტანა, Bonhams-ის აუქციონზე გაიყიდება. მთვარის მტვერი არმსტრონგმა 1969 წელს, „აპოლონ 11“-ის ფრენის დროს, NASA-თვის შეაგროვა. ცნობილია, რომ ლოტის საწყისი ფასი 800 ათასი დოლარია. აშშ-ს კოსმოსურმა სააგენტომ მტვრის ნამდვილობა უკვე დაადასტურა. ნილ არმსტრონგი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც მთვარეზე დადგა ფეხი. დედამიწის თანამგზავრზე ამერიკელი ასტრონავტები 1969 წლის 20 ივლისს დაეშვნენ.

ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, 90-ᯯᲔᲠ ᲐᲘᲪᲠᲐ

გერმანიაში, ქალაქ მაგდებურგში მცხოვრები 60 წლის მამაკაცი, ერთი თვის განმავლობაში, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, თითქმის 90-ჯერ აიცრა. ამდენი ვაქცინაცია იმიტომ დასჭირდა, რომ შემდეგ სერტიფიკატები გაეყიდა. მოგვიანებით, ეს მამაკაცი სამართალდამცავებმა, ქალაქ აილენბურგის სამედიცინო პუნქტში დააკავეს. ერთსა და იმავე ადგილას ასაცრელად, ის ორი დღის განმავლობაში მიდიოდა. პოლიციამ მას აცრების რამდენიმე ბარათი ჩამოართვა და სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. სამართალდამცავების თქმით, მრავალრიცხოვანი იმუნიზაცია მამაკაცს ანტივაქსერებისთვის სერტიფიკატების მისაყიდად სჭირდებოდა.

ᲛᲐᲡᲙᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ

Tesla-სა და SpaceX-ის დამფუძნებელი, ილონ მასკი პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიის სათავეში პირველად მოექცა. მანამდე, ოთხი წელი ზედიზედ, რეიტინგის ლიდერი Amazon-ის შეფი, ჯეფ ბეზოსი იყო. „ფორბსის“ შეფასებით, 50 წლის მასკის ქონება 219 მილიარდ დოლარს შეადგენს - ის ბეზოსზე 48 მილიარდით მდიდარია, რომლის ქონებაც 171 მილიარდი დოლარია. გამოცემა აღნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში, მასკის ქონება 68 მილიარდით გაიზარდა, ბეზოსის კი 6 მილიარდით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ მასკი „ფორბსის“ უმდიდრესი ადამიანების სიაში უკვე ათი წელია ფიგურირებს, მისი ქონება მნიშვნელოვნად ბოლო ორი წლის განმავლობაში გაიზარდა. 2012 წელს, ის რეიტინგში 2.4 მილიარდი დოლარით, 190-ე ადგილზე იყო. სიის ლიდერთა სამეულშია ფრანგი ბიზნესმენი, ბერნარ არნო - 158 მილიარდი დოლარით.

ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲥᲛᲐᲠᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲐ

ფილიპინებზე მცხოვრები ქალი, ჯამილია გალვესი, როცა ქმრის ღალატის შესახებ შეიტყო, დეპრესიაში არ ჩავარდნილა. მალევე მოიფიქრა, სამაგიერო როგორ გადაეხადა და ვიდრე ორგული მეუღლე სახლში არ იყო, მისი ნივთები სოციალური ქსელით გაყიდა. პირდაპირ ეთერში მოწყობილი ვაჭრობისას, მსურველებს შეეძლოთ, ეყიდათ ძვირადღირებული ბრენდების შარვლები, პერანგები და მაისურები. „შეიძინეთ დიდი სიფრთხილით, ეს ნივთები დაწყევლილია“, - აფრთხილებდა მყიდველებს ჯამილია. პირდაპირ ეთერში ვაჭრობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვიდეო 28 ათასმა ადამიანმა გადააზიარა. ქმრის ტანსაცმლის გაყიდვით მიღებულ ფულს გალვესი სამ შვილს მოახმარს. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა გაამხნევეს კიდეც ქალი - ეგ კაცი შენი ღირსი არ არისო.

ᲡᲛᲔᲜᲐᲡ ᲘᲛᲞᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲦᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ

ბიოტექნოლოგიური კომპანია Frequency Therapeutics ცდილობს, სმენა აღუდგინოს ადამიანებს, სმენის აპარატებისა თუ იმპლანტების გარეშე. სპეციალისტები ამას რეგენერაციული თერაპიის ახალი სახეობით აპირებენ. კომპანია უჯრედების დაპროგრამებისთვის მცირე მოლეკულებს იყენებს - შიდა ყურის ღეროვანი უჯრედების შთამომავლებს, რომელთაგანაც მომცრო უჯრედები იქმნება - სწორედ ისინი გვაძლევენ მოსმენის საშუალებას. ეს უჯრედები მაღალი ხმების ან წამლების ზემოქმედებით კვდებიან. პრეპარატი, რომელიც კომპანიამ შეიმუშავა, ამ უჯრედების აღსადგენად ყურში შეჰყავთ. კლინიკური ცდებისას, ახალი მეთოდით უკვე შეძლეს პაციენტებისთვის სმენის გაუმჯობესება.

ყველაზე პროდუქტიული დღე ორშაბათია

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების მიუხედავად, ექსპერტები აცხადებენ, რომ კვირის ყველაზე პროდუქტიულ დღედ ორშაბათი უნდა მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, ბევრს არ უყვარს ეს დღე, მაგრამ მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ სწორედ ორშაბათობითაა ადამიანი მაქსიმალურად შრომისუნარიანი. საინტერესოა, რომ ამ კვლევაზე შეკვეთა „მაიკროსოფტისგან“ შევიდა და ის ბრიტანელმა სწავლულებმა განახორციელეს. კვლევამ აჩვენა, რომ სხვა დღეებთან შედარებით, განსაკუთრებით მობილიზებილი და პროდუქტიული ადამიანისთვის, სწორედ „მძიმე“ ორშაბათია. შაბათ-კვირის დასვენების შემდეგ, დილის 10.00 საათზე, ორგანიზმი განსაკუთრებით ძლიერია და მზადაა ნებისმიერი საქმის შესასრულებლად, თუმცა კონცენტრაციის ასეთ მაღალ დონეს დიდხანს ვერ ინარჩუნებს და უკვე მომდევნო დღეს, ის უკვე დაქვეითებულია. ასე რომ, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ადამიანმა, სჯობს, ორშაბათს დაიწყოს.

კოსმეტიკა კიბოს იწვევს

კოსმეტიკის ყოველგვარი საშუალება, ბრენდის პოპულარობისა და ფასის მიუხედავად, მაინც მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამ დასკვნამდე ამერიკელი და ბრიტანელი სწავლულები მივიდნენ, რომელთაც ქალის ორგანიზმზე კოსმეტიკური საშუალებების გავლენა შეისწავლეს. მათი კვლევებით დაადასტურა, რომ კანისა და ლორწოვანი გარსის გავლით, ქალის სხეულში მოხვედრილი ქიმიური ნივთიერებები ორგანიზმში ილექება, ამიტომ კოსმეტიკის რეგულარული მოხმარება მავნე ნივთიერებებით მოწამვლის რისკებს საკმაოდ ზრდის.

აღსანიშნავია, რომ საფრთხე ემუქრებათ არა მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, არამედ, მამაკაცებსაც, რომლებიც სისტემატურად მოიხმარენ შამპუნს, გელსა თუ თავის მოვლის სხვა საშუალებებს. უფრო ხშირად, კოსმეტიკის მომხმარებლებს დერმატოლოგიური დაავადებები უვითარდებათ - უღიზიანდებათ ლორწოვანი გარსი, ყველაზე საშიში კი ავთვისებიანი სიმსივნეა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მავნეა დეზოდორანტები, რომლებიც კანცეროგენებს შეიცავენ.

ძაღლებს სასტუმრო გაუხსნეს

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, ახალი სასტუმრო გაიხსნა, რომელიც ჩვენი ოთხფეხა მეგობრებისთვისაა განკუთვნილი. ნომრებში დგას ორადგილიანი საწოლები, რომლებიც ვებ-კამერებითაა აღჭურვილი, რათა ძაღლების მფლობელებმა მათზე თვალ-ყურის დევნება შეძლონ. სპორტდარბაზში ნავარჯიშევი ცხოველებისთვის, დაღლილობისა და სტრესის მოსახსნელად, მასაჟების სეანსები და მენთოლიანი ტალახის აბაზანებია გათვალისწინებული. სასტუმროში „კლიენტების“ მენიუც შესაშურია: საუზმედ რბილი ორცხობილა და იოგურტი, ვახშმად - შემწვარი ქათამი, ჩაშუშული ინდაური და კარტოფილის პიურე. ძაღლებს აქ, სპეციალურ დესერტებსაც სთავაზობენ. სასტუმროში შესაძლებელია ცხოვლებისთვის წვეულებების გამართვა, ქორწილებისა და დაბადების დღეების აღნიშვნა. სასტუმროში დღე-ღამის გატარება ძაღლის პატრონს 100 დოლარი დაუჯდება.

კიბოს გამომწვევი პროდუქტები დაასახელეს

ბრიტანულმა ჟურნალმა Which, რომელიც სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების შემოწმებაზეა სპეციალიზებული, ყველაზე უფრო საშიში პროდუქტებისა და საკვები დანამატების სია გამოაქვეყნა, რომელთაც სიმსივნის გამოწვევა შეუძლიათ. ყველაზე უფრო საფრთხის შემცველ პროდუქტად, რომელიც ზრდის კუჭ-ნაწლავის კიბოს რისკს, სპეციალისტებმა წითელი გადამუშავებული ხორცი - ბეკონი, შაშხი და „სალიამი“ მიიჩნიეს. შენახვის ვადის გაზრდისა და გემოს ხარისხის შესაცვლელად, მას ნიტრატებსა და ნიტრიტებს უმატებენ, რაც კანცეროგენებია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ დღეში 50 გრამიც კი ასეთი გადამუშავებული ხორცი ნაწლავების კიბოს რისკს 18%-ით ზრდის. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან ონკოლოგიურ რისკებს, შედიან პესტიციდები, საკვები დანამატები და ხელოვნური საღებავები. ამას ემატება თამბაქო და ალკოჰოლი. ამ საუკუნის დაავადების თავიდან ასაცილებლად, გამოცემა გვირჩევს ისეთი სუპერპროდუქტების მოხმარებას, როგორებიცაა კურკუმა, მწვანე ჩაი, მოცვი, ბროწეული, ცხიმიანი თევზი, სხვადასხვა ბოსტნეული და ხილი, ასევე, უჯრედისი.

ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

ამერიკელმა მკვლევარებმა, ოჰაიოს უნივერსიტეტიდან, დაამტკიცეს, რომ სულ ცოტა ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. სიმსუქნე კვლავ მეტად საშიშ დაავადებად რცება, მაგრამ თუ 50 წლის ასაკში და ზემოთ, ადამიანს ოდნავ ზედმეტი კილოგრამები აქვს, ეს აძლევს შანსს, 15 წლით მეტხანს იცოცხლოს თანატოლებთან შედარებით, რომელთაც იდეალური წონა აქვთ. მეცნიერები ამ მოვლენას სტაბილურობით ხსნიან. ადამიანები, რომლებიც მუდმივად წონის კორექციით არიან დაკავებულები, საკუთარ ორგანიზმს სტრესის ქვეშ აყენებენ. ამას ვერ ვიტყვით მათზე, რომლებიც სტაბილურ წონას ინარჩუნებენ. რისკ-ჯგუფში რჩებიან ის ადამიანები, რომლებიც ასაკთან ერთად, წონაში მატებას განაგრძობენ. ექსპერიმენტისას, რომელიც 18 წელიწადს გრძელდებოდა, სწავლულები 10 ათას ჯანმრთელ ადამიანს აკვირდებოდნენ. ამასთან, რეგულარულად ზომავდნენ მათი სხეულის მასის ინდექსს. ასე, ექსპერიმენტში მონაწილეთა 7.2%-ში აღინიშნა სერიოზული დაავადებები და სიკვდილის შემთხვევებიც, რაც გამოწვეული იყო, როგორც სიმსუქნით, ასევე, წონაში თანდათან მომატებით. იმ მონაწილეებში კი, რომლებიც ცდილობდნენ, ცოტა ზედმეტი, მაგრამ სტაბილური წონა შეენარჩუნებინათ, გაცილებით ნაკლები იყო, როგორც ავადობის, ასევე, სიკვდილიანობის მაჩვენებელიც.

დაავადებულ თირკმელებს ყავა მიაშველეთ

ყავა აქვეითებს ნაადრევი სიკვდილის რისკს იმ ადამიანებში, რომლებსაც თირკმელების ქრონიკული დაავადება სჭირთ, - ასეთ დასკვნებს აკეთებენ პორტუგალიელი სწავლულები. სპეციალისტებმა 1999-2011 წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები შეისწავლეს, რომელშიც თირკმელების უკმარისობის მქონე 4863 ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც კოფეინის მაღალ დოზას (დღე-ღამეში 213.5 მილიგრამი) იღებდნენ, ნაადრევი სიკვდილის რისკი 22%-ით შეუმცირდათ იმათთან შედარებით, რომლებიც 28.2 მილიგრამზე ნაკლებ კოფეინს მოიხმარდნენ. იმ მონაწილეებს კი, რომლებიც დღეში საშუალოდ 103 მილიგრამ კოფეინს იღებდნენ, სიკვდილიანობის რისკი 26%-ით შეუმცირდათ.

ელექტროსიგარეტს აკრძალავენ?

აშშ-ს კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველომ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც მიხედვითაც, ელექტრონული სიგარეტები ერთ-ერთ „ეპიდემიოლოგიურ საფრთხედ“ აღიარა. დოკუმენტის მიხედვით, ელექტროსიგარეტის გაყიდვა უნდა გამკაცრდეს ან საერთოდ შეწყდეს, ვიდრე საბოლოო კვლევა არ დასრულდება. ელექტრონული სიგარეტის ადგილობრივმა მწარმოებლებმა და რეალიზატოებმა 60 დღის ვადაში უნდა დაამტკიცონ, რომ ის უსაფრთხო პროდუქტია, მისი გაყიდვა კი კონტროლდება აშშ-ს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი ნაბიჯი ამერიკის ჯანდაცვამ და სხვა უწყებებმა იმის გამო გადადგეს, რომ ქვეყანაში, 18 წლამდე ასაკის მოზარდებში, მძიმე დაავადებათა რიცხვი გაიზარდა. ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ ელ-სიგარეტი, რომელიც ნაკლებ ნიკოტინს შეიცავს, ვიდრე ტრადიციული თამბაქოს ნაწარმი, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოზარდების ორგანიზმს და მძიმე შედეგებით სრულდება.

აეროპორტში ბოსტნეული მოჰყავთ

ინდოეთში, ქერალას შტატში მდებარე საერთაშორისო აეროპორტი „კოჩინი“, ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე, დიდი რაოდენობით ბოსტნეული მოჰყავს. ეს შესაძლებელი გახდა მზის ბატარეების გამოყენებით. მზის პანელები აქ, დაახლოებით, 20 ჰექტარზეა განლაგებული, ბოსტნეული კი 3 ჰექტრამდე მიწაზე მოჰყავთ. აეროპორტის ყოველწლიური მოსავალი 40 ტონას აღწევს. ძირითად მოსავალ შეადგენს გოგრა, კიტრი, კომბოსტო, მარცვლოვნები, წიწაკა ჩილი, კოჭა და სხვა. აღსანიშნავია, რომ მთელი მცენარეული პროდუქცია ორგანულია და ის პესტიციდების გარეშე მოჰყავთ. აეროპორტის ხეომძღვანელობა აპირებს, მომავალში „ბოსტნის“ ფართობი გაზარდოს და 60 ტონამდე მოსავალი მოიწიოს.

ხელოვნური საკვერცხე უშვილობის წინააღმდეგ

დანიელმა სწავლულებმა ხელოვნური საკვერცხეები შექმნეს, რაც სუსტი სქესის წარმომადენლებს დაეხმარება დაფეხმძიმებაში, ქიმიოთერაპიისა და სხვა პროცედურების შემდეგ, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ფერტილურობაზე. მკვლევართა ჯგუფმა კოპენჰაგენიდან, ლაბორატორიულ პირობებში შეძლო დადებითი შედეგების მიღება - ახალი საკვერცხეების მისაღებად, მათ უკვე არსებულის ქსოვილები გამოიყენეს. თუმცა, უნდა აღინიშნიოს, რომ ამ „ხელოვნურ საკვერცხეებს“ ჯერ კლინიკური ცდები არ გაუვლია. ამის მიუხედავად, ქალებს, ქიმიოთერაპიის წინ, სთავაზობენ საკვერცხეების ამოჭრას და მათ გაყინვას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ, მკურნალობის დასრულების შემდეგ გაჩინონ ბავშვი. თუმცა, სპეციალისტების თქმით, ზოგიერთი სახის ონკოლოგიური დაავადებისას, მაგალითად საკვერცხეების ან თუნდაც ლიკემიის დროს, ზოგჯერ, საკვერცხეების ქსოვილებიც ზიანდება და ასეთი პროცედურის ჩატარება შეუძლებელი ხდება.

მსუქნებს ვირზე შეჯდომა ეკრძალებათ

საბერძნეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტურისტებს, რომლებიც 100 კილოგრამზე მეტს იწონიან, კუნძულ სანტორინიზე, ვირებით სეირნობა აუკრძალა. ადგილობრივი აქტივისტების თქმით, „ტვირთის“ წონის გადაჭარბების გამო, ცხოველები რეგლარულად იღებენ ტრავმებს. ასევე, ახალი დადგენილებით, არ შეიძლება ავადმყოფი, დაჭრილი და ფეხმძიმე ვირების ექსპლუატირება. გარდა ამისა, დოკუმენტში ისიც მითითებულია, რომ ცხოველებს ყოველდღიურად უნდა მისცენ ახალი საკვები და წყალი სუფთა კონტეინერებით.

გამორთეთ „სმარტფონი“ და მიირთვით ფასდაკლებით!

კულინარიული კულტურის გადასარჩენად, ჰავად იბრაჰიმი, რომელიც იერუსალიმის ახლოს რესტორნის მფლობელია, საკუთარი დაწესებულების კლიენტებს, საკვების მირთმევის დროს, მობილური ტელეფონების გამორთვას სთხოვს, ამის სანაცვლოდ, მომსახურებაზე 50%-იან ფასდაკლებას სთავაზობს. რესტორატორის განცხადებით, ადამიანებს არ შეუძლიათ ბოლომდე ისიამოვნონ ჭამით, რადგან დროს მობილურზე ლაპარაკში ან ინტერნეტში ატარებენ. „სმარტფონები“ ხელს უშლის მათ არა მხოლოდ საკვების მიღებაში, არამედ, ურთიერთობაშიც, რაც რესტორანში ყოფნის განუყოფელი ნაწილია. იბრაჰიმის დაწესებულება, რომელიც აბუ-გოშში მდებარეობს, საკმაოდ პოპულარული ადგილია ებრაელებსა და არაბებს შორისაც.

გემები ზეითუნის ზეთზე ივლიან

ეკოლოგიური ექსპერიმენტის ფარგლებში, იტალიაში, ვენეციის მთავრობამ გადაწყვიტა, ქალაქის წყლებში მოძრავი სამარშრუტო პატარა გემები, ეგრეთ წოდებული, ვაპორეტოები საწვავის ახალ სახეობაზე - ზეითუნის ზეთზე გადაიყვანოს. ტრანსპორტის ეს სახეობა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოძრაობს, ძალიან ბევრ საწვავს მოიხმარს და გარემოს აბინძურებს. ალტერნატიულმა საწვავმა კი მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს მავნე გამონაბოლქვი, - მიიჩნევენ სპეციალისტები. ვაპორეტოებისთვის ზეითუნის ზეთი ადგილობრივმა კაფე-რესტორნებმა უნდა მიაწოდონ. გამოყენებამდე, ზეთი ფილტრაციისა და გადამუშავების პროცედურას გაივლის პორტო მარგერეს ქარხანაში და მისგან ეკოლოგიურად სუფთა საწვავს მიიღებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.